№ 149

1877—1905

№ 149

სამშაბათი, 23 აგვისტო

სამშაბათი, 23 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქცია აუწყებს ხელნაწერების იმ ავტორებს, ვისთანაც წინდაწინვე გარიგებული არ არის, რომ ყოველ წერილს, რომელზედაც აღნიშნული არ იქნება ავტორის პირობები ჰონორარის შესახებ, რედაქცია უფასოდ ჩასთვლის და, თუ დაიბეჭდა, ჰონორარს არ გადიხდის.

სამშაბათს, 23 აგვისტოს, დილის 11 საათზე, კავკავის ქართულ ეკკლესიაში გარდაცვლილ
იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

იოსებ ვასილის ძის მოზდოკლიშვილის

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მწუხარებით დატანჯული ქვრივი **ე. დ. მოზდოკლიშილისა, ძმა გ. ვ. მოზდოკლიშვილი** და **ა. ვ. როგოვსკაია, სიდედრი მ. მირზაშვილისა, რძალი ე. კ. მოზდოკლიშვილისა** დისწულები: და ცოლის დები.

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ქ. დ. ერისთავი, თანახმად 3 აგვისტოს კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულის ინსტრუქციისა,—სთხოვს ოზურგეთის მაზრის ყველა კერძო მემამულეთ, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაებში არ ირიცხებიან, ეგრედვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც, გარდა ხანადელო მიწებისა, საკუთრებად შენაძენი მიწებიცა აქვთ, **მობრძანდნენ 27 ამა აგვისტოს, დილის 9 საათზე, ქალაქ ოზურგეთში,** სადაც გაიმართება საარჩევნო კრება იმ წარმომადგენელთა ასარჩევად, რომელნიც დაინიშნებიან წევრებად საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად დაარსებულს ოზურგეთის სამაზრო სათათბიროებში. ცალკე მოსაწვევი ბარათი არავის გაეგზავნება.

(3—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ე. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
ჰ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძლიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე, სახლი ბარამოვისა № 112.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ქ. ი. ჯაფარიძე
გადავიდა ყორღანოვის ქუჩაზე, თავ. არღუთინსკის სახლში, № 26.

დეცენტრალიზაცია

ადამიანის აზროვნებას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ორი მთავარი მიმართულება ეტყობა.

ზოგი უფრო ცენტრისკენ იწევა, ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი უფლება მოუპოვოს საერთო მთავრობას, უნდა, რომ ცენტრალისტურად მოეწყოს სახელმწიფო, რადგანაც ჰგონია, რომ ამნაირად მოწყობილ სახელმწიფოში ყველა თანასწორ უფლებიანი იქმნება და რომ თავის-თავად მოისპობა ყველა ის სხვადასხვაობა, რომელიც იწვევს ხშირად განხეთქილებას, მტრობას და ბრძოლას.

ზოგი კიდევ ამტკიცებს, რომ ცენტრალისტურად მოწყობილი სახელმწიფო შეუძლებლად ხდის სახელმწიფოს ყველა ნაწილში თავისუფალ განვითარებას, რომ ცენტრი, განაპირა ადგილებზე გაბატონებული, თავის განსაკუთრებულ მდგომარეობით და უფლებებით სარგებლობს იმისთვის, რომ თავის ყალიბზე ჩამოასხას ძალიან განაპირა ადგილებში მცხოვრებ ხალხის აზრი და მისწრაფებანიც, რომ ცენტრალიზმი სპობს ადამიანის დავისუფლებას, ვინაიდან ადამიანის ცხოვრებაში აბატონებს იმ ძალას, რომელიც მის ცხოვრებასთან მეტად დაშორებულია, რომელიც სიშორისა გამო არ იცნობს სხვადასხვა ადგილობრივ საჭიროებას.

ცენტრალისტური იყო რუსეთის ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის პრინციპი,—ცენტრიდან, პეტერბურგიდან, იწერებოდა განაპირა ადგილების შესახები სხვადასხვა კანონები, ცეტრში, პეტერბურგში მყოფი მთავრობა უნდა გასცნობოდა პოლონეთის, ფინლანდიის, ციმბირის და კავკასიის მდგომარეობას, დაწვრილებით უნდა შეესწავლა ყველა ამ ადგილებში მცხოვრებ ხალხის საჭიროება და ამის მიხედვით მოეწყო საქმე. უნდა გამოცემულიყო ისეთი განკარგულება, რომელიც დააკმაყოფილებდა პოლონეთს, სადაც მრეწველობა მეტად განვითარებულია და ციმბირისაც, სადაც მრეწველობა სრულებით არ არის ჩრდილო რუსეთს, სადაც ბუნება ღარიბია, და კავკასიასაც, სადაც ბუნების სიუხვე ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას... როგორც ერთი წამალი ყველა სენს თანასწორად არ მოუხდება, ისე ცენტრში პეტერბურგში მოფიქრებული კანონები ვერ შეეფერებოდნენ თანასწორად რუსეთის სხვადასხვა ნაწილებს...

რომელია საუკეთესო სახელმწიფო წეს-წყობილება?—ის, სადაც ხალხი სახელმწიფო საქმეებს თვითონვე განაგებს... რას უნდა ცდილობდეს ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც ხალხის, ამომრჩევლების ნამდვილი გულ-შემატკივარია? იმას, რომ მათ, ამ ხალხს, თვით ამომრჩევლებს ჰქონდეს სახელმწიფოს მართვა გამგეობის უფლება... ხალხია ბატონი სახელმწიფოში და ამიტომ ხალხი თვითონ უნდა იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში.

მაგრამ საქმის ასეთი მოწყობა მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც სახელმწიფო არ არის დიდი, სადაც ყველა სრულწლოვან მოქალაქეს თავის მოყრა შეუძლია მოსალაპარაკებლად. ახლანდელ სახელმწიფოებში კი ეს შეუძლებელია, ვინაიდან რამოდენიმე მილიონ კაცის შეგროვება, თითოეულ დასაწესებელ კანონპროექტის გამო მოსალაპარაკებლად, არ შეიძლება. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ არის შემოღებული წარმომადგენლობა, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ხალხი თავის მაგიერად საქმის გასაძღოლად სხვას გზავნის, თავის სანდო პირს, არჩეულ წარმომადგენელს.

მაგრამ როგორც კერძო ადამიანი მუდამ თვალყურს ადევნებს თავის ვექილის მოქმედებას, ისე ხალხი ყოველთვის თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს თავის წარმომადგენლის მოქმედებას საერთო კრებაში. ეს თვალყურის დევნება კი ხალხს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი წარმომადგენელი ახლოა, როდესაც იგი ისეთ საქმეებს ხელს ჰკიდებს, რომელიც თვით ხალხისთვისაც გასაგებია.

შეიძლება ხალხისაგან არჩეულმა წარმომადგენელმა უზარმაზარ რუსეთის ყველა ნაწილის საჭიროება ზედმიწევნით შეისწავლოს და ამის მიხედვით იმოქმედოს საერთო კრებაში, მაგრამ ასევე ზედმიწევნით უნდა იცნობდეს ამ საჭიროებათ თვით ხალხიც, ვინაიდან უამისოდ მას არ შეეძლება დააფასოს თავისი წარმომადგენლისაგან ნათქვამის სიწორე...

რაც უფრო დიდი და რაც უფრო ცენტრალისტურად მოწყობილია რომელიმე სახელმწიფო, მით უფრო რთული და ძნელი ხდება საერთო მთავრობის მოქმედება, საერო კრების წევრებს უფრო მეტი ცოდნა და დაკვირვება სჭირდებათ და მით უფრო ძნელია ხალხისთვის გაიგოს ის, რაც საერო კრებაში ხდება.

ამიტომაც არის, რომ ცენტრალისტურად მოწყობილ დიდ სახელმწიფოში, რესპუბლიკაც რომ იყოს იგი,—საერო კრება ჰკარგავს პირდაპირ კავშირს ხალხთან და ცხოვრებაში ბატონდება ბიუროკრატია, ისეთივე ბიუროკრატია, როგორსაც ჩვენ შევხვდებით თვითპყრობელ მონარქიებში...

სულ სხვაა იქ, სადაც მთავრობა ხალხთან ახლოა, სადაც თვითონ სახელმწიფო მცირეა, ან სადაც სრული დეცენტრალიზაცია არის შემოღებული, სადაც ერთ დიდ სახელმწიფოს ნაწილებს უფლება აქვთ მინიჭებული თავისი საქმეები თვითონვე განაგონ... აქ ხალხი შეგნებულად თვალყურს ადევნებს თავის წარმომადგენელთა მოქმედებას იმ საქმეებში, რომელიც ადგილობრივია და ხალხს პირდაპირ ეხება. აქ წარმომადგენელს არ შეუძლია ბატონად გაუხდეს თავის ამომრჩეველს და რაღაც „უმაღლეს", ხალხისათვის გაუგებარ მოსაზრებით გაამართლოს თავისი მოქმედება, რომელიც ხალხს არ მოსწონს, რომელიც მის ამომრჩეველთათვის მავნებელია.

და ასეთი დეცენტრალიზაცია მთავრობის ხალხთან დაახლოვება და მთავრობაში ამნაირად ხალხის გაბატონება განსაკუთრებით საჭიროა ისეთ უზარ-მაზარ ქვეყნებში, როგორიც არის რუსეთი, სადაც წინეთ ცენტრალისტობამ შეჰქმნა ცენტრში, შიდა-რუსეთში მცხოვრებ ერთ ეროვნების კულტურული გაბატონება განაპირა ადგილებში, გაამწვავა ეროვნული განხეთქილება და ბრძოლა კულტურულ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

მხოლოდ იმათ, ვინც ხალხს უგუნურთა ფარად ისახავს, ვინც ცდილობს ხალხზე გაბატონებას, ვისაც ხალხი თავისთვის უნდა,—მხოლოდ იმას შეუძლია გამოიგონოს და ხალხს უთხრას: შენთვის ცენტრალისტური სახელმწიფო უფრო სასურველი არისო...

არა, ხალხს თავისთვის უნდა მთავრობა და ეს მთავრობა მის თვალ-წინ უნდა მოქმედობდეს; ეს კი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო საქმეებშიაც სრული დეცენტრალიზაცია შემოვა...

ი. ლ—ძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 აგვისტო.

პორტსმუთი, 19 აგვისტო. ზავის ხელ-შეკრულობა თხუთმეტ მუხლს შეიცავს. ათი მუხლი მარტენსმა შეიმუშავა ფრანგულ ენაზე, იაპონელები კი ინგლისურზე სთარგმნიან. ვიტტე დარწმუნებულია, რომ არავითარი დაბრკოლება აღარ გაჩნდება. მარტენს „მატენ"-ის კორესპონდენტისთვის განუცხადებია, რომ ის და დენნისონი პირველ ცამეტ მუხლზე სავსებით შეთანხმდნენ, შესამუშავებელი დარჩა მხოლოდ მუხლები მანჯურიის ევაკუაციისა და სახალინის შესახებ. „მე მგონია,—ამბობს მარტენსი,—რომ მუშაობას ხვალ საღამოთი დავამთავრებთ, თუ სახალინის შესახებ ტოკიოდან ახალი ინსტრუქციები არ მოვიდა. დღეს ჩვენ კარგად ვმუშაობდით და, უნდა გამოვტყდე, იაპონელები ძალიან ცდილობდნენ, ზავის შეკვრა უზრუნველეყოთ.—კომურას ტოკიოდან დროებით ზავის შესახებ არავითარი პასუხი არ მიუღია, რადგანაც სტელეგრაფო დამოკიდებულება იაპონიასთან შეწყვეტილია.

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. რა წამს რუზველტი და სახელმწიფო მდივანი როტი ვაშინგტონში დაბრუნდებიან, მაშინვე გაიგის მშვიდობიან კონფერენციის შეკრებაზე დაიწყება მოლაპარაკება.—ებრაელთა ბანკირებმა ვიტტეს ადრესი გაუგზავნეს და სთხოვეს: რუსეთში ებრაელების ემანსიპაციას ხელი შეუწყოთ.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. ვიტტემ და კომურამ ხელი მოაწერეს დროებით ზავს, რომელიც ძალაში მხოლოდ საზავო პირობების ხელის მოწერის შემდეგ შევა. მთავარ-სარდლებს კი მაინც უბრძანეს, სამხედრო მოქმედება შეაჩერონ.

ლონდონი, 19 აგვისტო. ავსტრიის იმპერატორმა დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორსა და მიკადოს და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის პრესტიჟი სავსებით დაცულია, მიკადოსთვის უთქვამს: იაპონიამ ევროპას ზომიერების მაგალითი უჩვენაო. იაპონელები, საზავო პირობებზე ხელის მოწერამდე, დროებით ზავის ჩამოგდებაზე დასთანხმდნენ. რუსები ჯარს ხარბინს იქით აღარ გაგზავნიან, იაპონელები კი მუკდენს იქით.—ტოკიოდან მოსულ ცნობებით, უკმაყოფილება თანდათან იზრდება. პრესსა იმ აზრისაა, რომ გამარჯვების შედეგი სუსტმა დიპლომატიამ სულ დაჩრდილაო. იაპონიის მისსიის ერთს წევრს უთქვამს: „სახლში ჩვენ ქვებით დაგვხვდებიან და იქნება ყუმბარაც გვესროლონო".

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. მართლდება ის ხმები, ვითომც საზავო ხელ-შეკრულობის დედანს გამოაქვეყნებენ რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც, რწმუნებულთა-მიერ საზავო პირობების ხელის მოწერის რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა მოხდესო. ხელის მოწერის შემდეგ, ვიტტე და კომურა ცალ-ცალკე რუზველტთან მოვლენ გამოსამშვიდობებლად.

შანხაი, 19 აგვისტო. ზავის პირობებმა ჩინეთში რეაქცია გამოიწვია რუსეთის სასარგებლოდ.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. შესამუშავებელი დარჩა ორი მუხლი, რომლებიც მანჯურიასა და სახალინს შეეხება. მარტენსი და დენნისონი ფიქრობენ, რომ მუშაობას დღეს დაასრულებენ. შემდეგ ვიტტე და კომურა ხელ-შეკრულობის პროექტს საბოლოოდ განიხილავენ.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. საკითხმა იმის შესახებ, რომ კუნძულ სახალინზე არავითარი სიმაგრეები არ უნდა აშენდეს, მოლაპარაკებას ცოტათი ხელი შეუშალა. იაპონელებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ამისთანა ვალდებულება ორივე მხარეს უნდა ეკუთვნოდეს, რუსები კი ამბობენ, იაპონელებს არ უნდა ჰქონდეთ სიმაგრეების აშენების უფლება, ჩვენ კი უნდა გვქონდესო. დანარჩენ მუხლებზე სავსებით შეთანხმდნენ.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. სახალინის შესახებ პროფესორი მარტენსი და დენნისონი რწმუნებულებს შეეკითხნენ. იაპონელებს უნდოდათ, რომ ლაპერუზის სრუტე ღია და თავისუფალი ყოფილიყო, რუსები კი იმდენს ეტანდნენ, რომ კუნძულ სახალინზე სიმაგრეების აგება აკრძალეს.

ლონდონი, 20 აგვისტო. „ცენტრალ ნიუს"-ის სააგენტოს დირექტორის, გრაფ ბენკენდორფისაგან, გუშინ შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა: „ცენტრალ ნიუს"-ის სააგენტომ გრაფ ლამზდორფს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა პორტსმუტში საზავო მოლაპარაკების კეთილად დაბოლოვების გამო, მინისტრმა დამავალა, მადლობა გადამეხადა თქვენთვის და, ამასთანავე, დაუმატა, რომ ჩვენს მთავრობას დიდი იმედი აქვს იმ საზავო ხელ-შეკრულობისა, რომელიც რუსეთსა და იაპონიის შუა დაიდო და ხელს შეუწყობს ამ სახელმწიფოების კეთილ-განწყობილებასო.

ხარბინი, 21 აგვისტო. შინაგან სესხზე ხელის მოწერა რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებაში კარგათ მიდის.

ჰამბურგი, 21 აგვისტო. აქ ხოლერით ავადმყოფი კიდევ აღმოაჩინეს.

ბაქო, 21 აგვისტო. 16 აგვისტოს, შუშაში სომხები მოულოდნელად დაეცნენ სომხის ნაწილში მცხოვრებ თათრებს და ყველანი ამოხოცეს. ამის შემდეგ სომხებმა გადასწვეს მთელი უბანი, 40 სახლი. ამას თათრებმა, ხალხის დასამშვიდებლად, გაიარეს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც სომხები მოსახლეობენ, მაგრამ სომხები მაინც თავს დაესხნენ, ბევრი დასჭრეს, ბევრიც ტყვედ წაიყვანეს. იმათკენ მიმავალი გუბერნატორი ზარანოვსკიც დასჭრეს. თათრებმა დაჭრილი გუბერნატორი ქალაქში წაიყვანეს და თვითონაც მოსაგერიებლად მოქმედება დაიწყეს. ამასობაში ქალაქში მყოფ თათრებს, რომლებიც რიცხვით სომხებზე ორჯელ ნაკლებნი არიან, ახლო-მახლო ადგილებიდან ჩამოეშველნენ. მაშინ კი სომხის სამღვდელოებამ, რომელიც აქამდის სრულიად არავითარ ღონისძიებას არა ხმარობდა, სთხოვა ორივე მხარეს, რომ სისხლის ღვრა მოესპოთ. თათრებმა იმ წამსვე შესწყვიტეს სროლა, მაგრამ სომხებმა მაინც თავისი არ დაიშალეს. გაძვინვარებულმა თათრებმა მოქმედება გააორკეცეს. ხოცვა-ჟლეტა გრძელდება. მთელი ქალაქი იწვის.

პეტერბურგი, 20 აგვისტო. პეტერბურგში მოვიდა სპარსეთის შაჰი შვილებით, შვილიშვილებითა და ახლობელ მხლებლებით. პეტერგოფის სადგურზე მას ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავრები მიეგებნენ.

პარიზი, 20 აგვისტო. რუზველტისთვის მისართმევ ბზის (ტოტის) ოქროსი და პორტსმუტში სასახლის ასაშენებლად ფული გროვდება.

ვლადივოსტოკი, 20 აგვისტო. „ნიკოლსკ-უსსურისკი ლისტოკ"-ი სამი თვით შეაჩერეს.

პიატიგორსკი, 20 აგვისტო. 19 აგვისტოს, ერთის სომხის სადგომში, თოფებისა და რევოლვერების საწყობი აღმოაჩინეს. დამნაშავე შეიპყრეს.

პარიზი, 20 აგვისტო. გაზეთების სიტყვით, პასუხის-გებაში არიან მიცემულნი მალატო, გარვეი და ვალდინა, რომელთაც მეფე ალფონსის, ლუბეს და სხვა პირთა მოკვლის განზრახვა ბრალდებათ.

ვიგო, 20 აგვისტო. ყუმბარამ ორი კაცი მოჰკლა და რამდენიმეც დასჭრა.

ვარშავა, 20 აგვისტო. პრუსსის ქვეშევრდომ რევოლუციონერებს კასპრჟაკსა და ინჟინერს ბურცმანს, რომელთაც ბოქაულის თანაშემწის ორდანოვსკის, შეიარაღებული წინააღმდეგობა, ჟანდარმის როტმისტრის-კანნიჩუკს და ორი პოლიციელის მოკვლა ბრალდებოდათ, 1904 წლის აპრილში, სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა, პირველს ჩამოხრჩობა, მეორეს კი თხუთმეტი წლით კატორღა.

სტამბოლი, 20 აგვისტო. ოფიციალური. ოსმალეთის ჯარი სანაში შევიდა.

ჰელსინგფორსი, 20 აგვისტო. რვა აგვისტოს, ჰელსინგფორსის დოკში მესამე სანაღმო კრეისერი ჩაუშვეს. კრეისერს „გენერალ კონდრატენკო" ჰქვიან, მეოთხე კრეისერსაც აშენებენ.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობებით, ახალი კანონ-პროექტი პრესსის შესახებ, სახელმწიფო სათათბიროში განხილვამდე გამოქვეყნებული იქნება: ახალი კანონის ძირითადი დებულება უკვე შემუშავებულია და ხელმეორედ აღარც გადასინჯავენ და აღარ შეასწორებენ.

პეტერბურგი, 20 აგვისტო. ლიგოვსა, მორსჩანსკსა, კუზნეცკსა, ნოვოროსსისკსა, ტომაშოვსა და ბათომიდან იუწყებიან, ზავის ჩამოგდებას ხალხი აღტაცებით მიეგებაო.

კიევი, 20 აგვისტო. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების მოსამსახურეთ მილოცვის დეპეშაზე შემდეგი პასუხი მიიღეს ვიტტესაგან: „გულითა და სულით მადლობას ვუძღვნი ყოფილ თანამოსამსახურეთ—ვიტტე".

ბერლინი, 20 აგვისტო (ვოლფი). პრუსსიაში ორმოც-და-სამი კაცი გახდა ავად ხოლერით. მათ შორის 17 მოკვდა.

ეკატერინბურგი, 20 აგვისტო. ჩერნომორის ქარხანაში გაძარცვეს ეკლესია. მოჰკლეს მნათე, მისი შვილი და ეკლესის დარაჯი.

მოსკოვი, 20 აგვისტო. მოსკოველ სტუდენტებს კრება ჰქონდათ. მომეტებული ნაწილი იმ აზრისაა, რომ უნივერსიტეტებში სწავლა დაიწყონ.

შანხაი, 20 აგვისტო. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ნახევარ ქალაქი წყალმა წაიღო. ზარალს მილიონობით ანგარიშობენ.

პარიზი, 20 აგვისტო. თუმცა დატუსაღებული ალჟირელი განთავისუფლეს, საფრანგეთის საელჩოს პარიზიდან მაინც ბრძანება მოუვიდა, დაუყონებლივ წამოდით ფეციდან, თუ სულთანი ბოდიშს არ მოიხდის, ალჟირელს არ დააჯილდოვებს და მის დამტუსაღებლებს არ დასჯისო.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. სახალინის შესახებ რწმუნებულნი შეთანხმდნენ, რომ სახალინი არ გაამაგრონ. ამას გარდა იაპონია ვალდებულია ლაპერუზის სრუტეც არ გაამაგროს.

მიტავა, 20 აგვისტო. რადგანაც ხშირად აფუჭებენ ტელეგრაფსა და რკინის გზის ლიანდაგს, მათი ყურის გდება და დაცვა გენერალ-გუბერნატორმა მაზრებში სოფლებს დააკისრა. ვოლოსტის საზოგადოებანი და მემამულენი ვალდებულნი არიან დააყენონ დარაჯები რკინის გზის მთელს ლიანდაგზე.

პორტსმუთი, 20 აგვისტო. იაპონიის კაბელის გაფუჭების გამო, ზავის ხელშეკრულობის ხელის მოწერა შეიძლება რამდენიმე ხნით გადიდოს. უკანასკნელ დღეებში იაპონიის რწმუნებულთ არავითარი ცნობა არ მიუღიათ და საზოგადო ინსტრუქციების თანახმად მოქმედობენ. კომურა ხელშეკრულობის ხელს ვერ აწერს, სანამ ტოკიოდან ბრძანება არ მოუვა. ხელის მოწერა ორი-სამი დღით დაგვიანდებაო. მიკადოს რუზველტისთვის სამადლობელი დეპეშა არ გამოუგზავნია, რაც კაბელის გაფუჭებით აიხსნება.

ბერლინი, 20 აგვისტო. პორტსმუტიდან „ანცეიგერს" ატყობინებენ, ზავის ჩამოგდების გამო ამერიკელების მიერ განზრახულ დღესასწაულში იაპონელები მონაწილეობას არ მიიღებენო.

პეტერბურგი, 21 აგვისტო. ოფიციალურად. დეპეშა ხელმწიფე იმპერატორისა მთავარ სარდლის სახელობაზე, 19 აგვისტოს გომიადან გაგზავნილი. „პორტსმუტში ზავზე მოლაპარაკების დროს, იაპონიის მთავრობის მოთხოვნილებაზე მაგ. კუნძულ სახალინის დათმობაზე, კონტრიბუციის გადახდაზე, დაზარალებულ გემთა გადაცემაზე და წყნარ ოკეანის წყლებში ჩვენი ძალების შეზღუდვაზე ჩემმა რწმუნებულებმა უარი განაცხადეს. შემდეგ, 16 აგვისტოს, იაპონიის მთავრობამ მიიღო ჩვენ მიერ წარდგენილი პირობანი, მაგრამ მოითხოვა სახალინის იმ ნაწილის დაბრუნება, რომელიც მას 1875 წლამდე ეკუთვნოდა. თავ-განწირული და ჩემთვის ძვირფასი არმია 19 თვის განმავლობაში მედგრად ებრძოდა მტერს მანჯურიაში და თუმცა იაპონელნი რიცხვით სჭარბოდნენ მაინც მტერი შეაჩერა, თქვენის ხელმძღვანელობით ჯარი მოწესრიგდა, გაძლიერდა და მზად არის არამც თუ მტერი მოიგერიოს, დაამარცხოს კიდეც, მე და მთელ რუსეთს გვჯერა ჯარის ძლიერება და რომ ის ყოველთვის მზად არის სამშობლოსთვის თავი დასდოს, მაგრამ ჩემი მოვალეობაა ჯარს თავიდან ავაცილო ომის საშინელებანი.

ზავის პირობები მე მივიღე. რუსის ჯარმა ამ ომის განმავლობაში ბევრჯელ დაამტკიცა თავის ვაჟკაცობა და თავ-განწირულება. გარდაეცით ეს ჩემს ძვირფასს არმიას. იცოდნენ, რომ მეც და რუსეთიც ვაფასებთ იმ გაჭირვებას, რომელიც იმან ამ ომში გადაიტანა. **ნიკოლოოზი**".

პორტსმუტი, 21 აგვისტო. ხელ-შეკრულობის რედაქციის შემუშავება დასრულდა.

პორტსმუტი, 21 აგვისტო. ვიტტეს და როზენის რჩევა კომურასა და ტაკახირასთან გუშინ, 6½ საათზე, დასრულდა. „მატენ"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ რწმუნებულები ყველა მუხლებში შეთანხმდნენ. პროფესორ მარტენს განუცხადებია მოლაპარაკება გათავებულად უნდა ჩავთვალოთო.

პორტსმუტი, 20 აგვისტო. როზენის სიტყვით, ხვალ სხდომა აღარ იქნება.

შანჰაი, 20 აგვისტო. ზავის პირობებით აქ გაკვირვებული არიან. დარწმუნებული არიან, რომ ზავის შეკრა იაპონიას ინგლისმა აიძულა. ფიქრობენ, რომ ზავის პირობები იაპონიის მცხოვრებლებსა და ჯარში უკმაყოფილებას გამოიწვევსო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ზე გვერდე).

რეფორმები რუსეთში

სარატოვის გუბერნატორმა საერობო გამგეობას მისწერა, იმ ამომრჩეველთა **სიების შედგენას შეუდექით**, ვისაც კენჭი ეძლევა სათათბიროშიო (რ. ს.).

◆ ამ ორ დღეში პეტერბურგს მივა პოლონეთის მიერ გაგზავნილი **დეპუტაცია**, რომელიც სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან შესდგება. დეპუტაცია რუსეთის მთავრობას წარუდგება და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მოელაპარაკება. დეპუტაციამ, სხვათა შორის, უნდა ითხოვოს პოლონეთში თვითმართველობის შემოღება (რ. ს.).

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ **განიხილა მომავალ არჩევნების წეს-რიგი** საარჩევნო კრებების შესახებ სათათბიროში და დარწმუნდა, რომ ეს საარჩევნო წესრიგი თითქმის სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი 1903 წლ. კანონისა საქალაქო არჩევნების შესახებ და ისეთივე ნაკლი აქვს, როგორც 1903 წლის კანონს აქვს (რ).

◆ 11 აგვისტოს, საერო განათლების მინისტრის, გენ. გლაზოვის თავმჯდომარეობით, **მინისტრების კრება მოხდა**; კრებას, სხვათა შორის, პოლიციის მინისტრი გენ. ტრეპოვიც დაესწრო. კრებას უნდა გამოეძებნა ის ზომები, რომელიც უნდა მიიღოს მთავრობამ ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოდგომაზე სწავლის დასაწყებად. გლაზოვი და ტრეპოვი თხოულობდნენ, არავითარ საშუალებას არ უნდა დავერიდოთ და სასწავლებლები უეჭველად გავხსნათო. ბოლოს კრებამ დაადგინა; ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა უეჭველად უნდა დაიწყოს და ამის განსახორციელებლად მთავრობამ ყოველნაირი ზომა უნდა მიიღოს (რ. ვ.).

◆ ამ დღეებში მიწის მოწყობის მთავარ-სამმართველოს წევრებს კრება ჰქონდათ დამატებითი ნადელების მიცემის შესახებ. ხაზინა ყოველ წლიწადს მდიდარ მემამულეებს იჯარით აძლევს 4½ მილიონ დესეტინა მიწას. მემამულეები ამ მიწას იჯარით აძლევენ გლეხებს და ერთი ოთხად იმაზღაურებენ იჯარის ხარჯს. ხაზინა, რასაკვირველია, არაფერს აგებს, გლეხები კი წელში გაწყდნენ ამოდენა საიჯარო ფულის გადახდით. ეხლა მიწის მოწყობის მთავარ სამმართველოს აზრად აქვს—ეს მიწები პირდაპირ გლეხებს მისცეს იჯარით. კრება ჯერ-ჯერობით ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა (რ. ვ).

◆ სექტემბერში განაახლებს თავის მუშაობას ის კომისია, რომელსაც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის კანონ-პროექტის შედგენა აქვს მინდობილი. კომისია შესდგება სხვადასხვა სამინისტროებისა და მრეწველთა წარმომადგენლებისაგან. კომისია შემუშავებულ კანონპროექტს სათათბიროს წარუდგენს, მაგრამ, კომისიის ერთ-ერთი წევრის სიტყვით, მისი განხილვა და დაკანონება ძალიან დაგვიანდება, რადგან სახელმწიფო სათათბიროს ისედაც ბევრი საქმეები ექნება პირველ ხანად და ამ კანონპროექტისთვის აგრე ადრე ვერ მოიცლისო (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი, 21 აგვისტო. გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით დანიშნულ რჩევის მეორე სხდომაზე ისევ ამორჩევის წეს-რიგს იკვლევდნენ. შემდეგი სხდომა 23 აგვისტოსთვის არის დანიშნული. განიხილავენ ამოირჩევის წეს-რიგს პოლონეთში.

„რუს"-მა დაბეჭდა სია იმ პირთა, რომელთა ამორჩევაც სახელმწიფო სათათბიროში სასარგებლო უნდა იყოს. საგლეხო ბანკმა მოქმედება დაიწყო. ის ამჟამად პოლოლოციეში მამულსა ყიდულობს,—მერე ამ მამულს წვრილ ნაჭრებად დაჰყოფს და გაჭირვებულ გლეხ-კაცებს იაფ ფასად მიჰყიდის.

„სლოვო" გადმოგვცემს; რადგანაც ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თავს ანებებს, თუ არა ბულიგინი თანამდებობას, ზოგიერთი შინაგანი რეფორმები შეჩერებულ იქნას და 1906 წლისთვისაც 1905 წლის სმეტა იქმნა მიღებული.

ზესტაფონი, 21 აგვისტო. სოფ ღვანკიტში გლეხებს შეტაკება მოუვიდათ თავად-აზნაურობასთან და სტრაჟნიკებთან. ამბობენ მოკლულთა რიცხვი ათამდეა, ხოლო დაჭრილთა—ექვსამდეო.

ახალი ამბავი

◆ **ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიამ პეტერბურგიდან მიიღო** „რაზსვეტის" ნომრები, რომელშიაც დაბეჭდილია ბ. ი. გოგებაშვილის წერილი „Безправіе грузинскаго языка и самихъ грузинъ въ учебной части на Кавказѣ". ოთხი ნომერი ღირს ერთი აბაზი ტფილისშიაც და პროვინციაში გაგზავნილიც.

◆ გორიდან გვატყობინებენ, რომ კვირას, დილის 9 საათზე, მექვაბების უბანში **ექვსის ტყვიით მოჰკლეს ადგილობრივი ბოქაული თავ. ბარძიმ ავალიშვილი.** პირველი ტყვია შუბლში მოხვედრია და, როცა წაქცეულა, მკვლელს ბერდანის თოფი კიდევ ხუთჯელ დაუხლია. ავალიშვილს თან ჰხლებია სტრაჟნიკი, რომელიც თოფის პირველ გასროლაზე გაქცეულა. მკვლელი მიმალულა.

◆ ტფილისის მაზრის სოფლის საზოგადოებანი უკვე **შესდგომიან რწმუნებულების არჩევნებს** სამაზრო საერობო კრებაზე დასასწრებლად. მთელ ტფილისის მაზრამ უნდა აირჩიოს 17 რწმუნებული, ე. ი. სამ სოფლის საზოგადოებაზე—თითო კაცი. კვირას, 21 აგვისტოს, აირჩიეს წყნეთის, წავკისის და დიღმის სოფლის საზოგადოებამ. წარმომადგენელნი ტფილისში 29 აგვისტოს უნდა გამოცხადნენ, სამაზრო საერობო კრებაზე.

◆ გუშინ, 22 აგვისტოს, სამოსწავლო გეგმის შესადგენად მოწვეული, სამაზრო მეთვალყურეთა კრება შეუდგა, საეპარქიო მეთვალყურის ოდოევის-მიერ წარდგენილ, პროგრამის პირველ მუხლის განხილვას. კრებამ დაადგინა: სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად მოიწვიონ ი. გოგებაშვილი, ცვეტნიცკი და კორხანიძე. შეიმუშაოს სამოსწავლო პროგრამა და ეს პროგრამა წარუდგინოს განსახილველად საექსარხოსოს სამღვდელოების, მასწავლებელთა და ხალხის წარმომადგენელთა კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნეს მოკლე ხანში. მომავალ კრების შემუშავებული პროგრამა, ვიდრე იგი განხილულ იქმნება უწმიდესს სინოდში, დროებით მიღებულ იქმნას სკოლებში. ოდოევის შეკითხვაზე—რისთვის არის უკმაყოფილო საზოგადოება თანამედროვე საეკლესიო სკოლისაო, დაადგინეს: უკმაყოფილების მიზეზია: გარუსების სისტემა და მასთან შეერთებული სამშობლო ენის დევნა, პროგრამის თანამედროვე ცხოვრებასთან შეუფერებლობა, სამღთო სჯულის მექანიკურად სწავლება, მასწავლებლების სრული მიუმზადებლობა და მრ. სხვა. სწავლება უნდა იყოს უფასო და სავალდებულო 16 წლამდე.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის სამოსწავლო **საბჭომ დაადგინა:** მიღებულ იქმნას ის 25 მოწაფეც, რომლებიც წინად სასწავლებლის გარეშე უნდა დარჩენილიყვნენ, როგორც არეულობის მოთავენი.

◆ როგორც გავიგეთ, სოფ. გლდანში ამას წინად პოლიციას მიუყვანია რამდენიმე კაზაკი. **სოფელს შეშინებია და პოლიციისთვის განუცხადებია:** ოღონდ კაზაკები წაიყვანეთ და პირობას მოგცემთ, უწესობას აღარ ჩავიდენთო. სოფელს ხელ-წერილი მიუცია პოლიციისთვის, თუ კიდევ ჩავიდინეთ უწესობა,, 4000 მანათის ჯარიმას გადვიხდითო.

◆ როგორც „ცნ. ფურ"-ს ატყობინებენ, სოფელ მუხრანში, 16 აგვისტოს, ვიღაცებს **აუფეთქებიათ ადგილობრივ მემამულის თავ. ესტატე მუხრანსკის სახლი.** მდგურები უვნებლად გადარჩენილან.

◆ ტფ. სავაჟო პირველ გიმნაზიის **დირექტორად დანიშნული ი. ე. გიმყრელიძე** თავის თანამდებობას შეუდგება მხოლოდ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ტფილისში დაბრუნების შემდეგ.

◆ კავკასიის ნამესტნიკის ნებართვით, გროზნის მთიელთა სასწავლებელი **სამოსწავლო სემინარიად გადაკეთდა.**

◆ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის **ინსპექტორად დაინიშნა ბ. ლორთქიფანიძე.**

◆ ნოემბერში ტფილისში **მოხდება ამიერ-კავკასიის გუბერნატორთა კრება.** კრებამ ნამესტნიკის საბჭოში უნდა განიხილოს საერობო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და ფულის განაწილება 1907 წლიდან სამის წლით.

◆ ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულის, კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრის, გენერალ ჯუნკოვსკის თავმჯდომარეობით, 25 აგვისტოს, ტფილისში **დაიწყება კრება გადასახადთა ინსპექტორებისა.** კრებამ ნადელების გამოსყიდვის საქმე უნდა განიხილოს.

◆ დღეს, 23 აგვისტოს, **დანიშნულია კრება ქალაქის სამოსწავლო კომისიისა** და განხილულ იქმნება საკითხები: პარალელურ კლასების მოწყობისა და ნაძალადევის სასწავლებელში და პარალელურ კლასებში ადგილობრივ ენების და სამღვთო სჯულის მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ.

◆ საგუბერნიო მთავრობამ დაამტკიცა პროექტი ქუჩებისა და მოედნების გამართვისა, მამუკის სოფელში. ამ პროექტით ბევრი სახლი და შენობა უნდა აღებულ იქმნას სწორე ქუჩების გასაყვანად. ამის ნაცვლად მცხოვრებთ იქვე მდებარე **ქალაქის მიწებს** მიუზომავენ. ქალაქის გამგეობავე შეუდგა ამ სოფელში წყლის გაკეთებას.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტის პროვიზორმა **კარპელ ბრავინმა ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა,** ნება მომეცით ტფილისში ნორმალური აფთიაქი დავაარსო და ყველა მცხოვრებს ექიმების რეცეპტით წამლებს სხვა აფთიაქებთან შედარებით ნახევარ ფასად მივყიდიო.

◆ „კავკაზ"-მა **ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო:** სამი საათიდან ქალაქში თოფის სროლაა. ბრალსა სდებენ ტრამვაის გაფიცულ-მოსამსახურეთ. არიან დაჭრილნიც და მოკლულნიც, სადგურს ჯარი იცავს, ქუჩებში დარაჯთა რაზმები დადიან. ეტლები ქალაქში არა სჩანან.

◆ ნამესტნიკის კანცელარია აცხადებს, რომ წელს **სუმის კადეტთა კორპუსში სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს** და ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის თავად-აზნაურთა ბავშვები, რომლებიც უკვე გამოიცადნენ, უნდა გამოცხადდნენ 30 აგვისტოს საღამოზე, ხოლო ვინც ჯერ არ გამოცდილა და სურვილი აქვს ხსენებულ კორპუსში შევიდეს, უნდა გამოცხადდეს 29 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

◆ გუშინ, 22 აგვისტოს, ქ. შუშიდან ქალაქის მოურავმა ეპ. აშოტის და შუშის ქალაქის მოურავისაგან **შემდეგი დეპეშა მიიღო:** „სომხები და თათრები შერიგდნენ. პროცესიამ სომეხთა და თათართა სამღვდელოების მეთაურობით შემოიარა მთელი ქალაქი. დამშვიდდნენ მცხოვრებნი. დაამშვიდეთ მანდაც".

◆ 19 აგვისტოს, კისლოვოდსკში კავკასიის ნამესტნიკს **წარუდგა სომხების დეპუტაცია** და საეკლესიო ქონების დაბრუნებისთვის სამადლობელი ადრესი მიართვა.

◆ სასტუმრო „გრანდ. ოტელ."-ის პატრონთ ჯაფარიძესა და გეორგობიანს, რადგანაც იმათ სასტუმროში ამას წინად ყუმბარები იპოვნეს, **500 მანათი ჯარიმა მიუსაჯეს.**

◆ როსტოვიდან ტფილისში დაბრუნდა თავად **გოლიცინის** დროს გაგზავნილი ექიმი ნოვოსარდიანი, რომელიც ამ დღეებში შეუდგება სამკურნალოს გამგეობას. ბ-ნ ნოვოსარდიანს აზრად აქვს სთხოვოს მთავრობას, ახლად მისგან დაარსებული და გოლიცინის განკარგულებით დახურული კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება ხელ-ახლად დააარსოს.

◆ გაზ. „ტარაზის" და საყმაწვილო ჟურნალ „აღბიურის" რედაქტორ ტ. ნაზარიანს ნება მიუღია კავკასიის ნამესტნიკისაგან, ჟურნალი „აღბიური" გამოსცეს ვრცელის პროგრამით და ორ კვირაში ერთხელ გამოსცეს ილლუსტრაციებიანი, დამატებანი ჰიგიენის შესახებ.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი **მალამა ტფილისში დაბრუნდა.**

◆ შაბათს, 20 აგვისტოს, დიდის მთავრის ქუჩაზე **დაიქცა სახლი ა. ი. მიტეევიჩისა.** მდგმურები აგარაკებში არიან წასულნი, სადგომები ცარიელი იყო. სახლში მხოლოდ ერთი მოხუცი იყო, რომელიც დაშავდა და საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

◆ შუშაში გამგზავრებული **ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტი ბ-ნი ბროუნი**, რომელსაც უკვე დეპეშები გაუგზავნია ინგლისურ პრესისათვის.

◆ „რუსკოე სლოვო"-ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ, სადგურის უფროსის ტერპილოვსკის მკვლელობაში **ბრალსა სდებენ მის თანაშემწედ ყოფილს ჩიქოვანს**, რომელიც უკვე დაპატიმრებულიაო.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, 19 აგვისტოს, ქ. ახალციხეში, მე-77 ტენგინის პოლკის ქვეითა ჯარის კაცს, კოპაძეს ქვით მოუკლავს ჯარის კაცივე ტატაშვილი.

◆ დღეს, 23 აგვისტოს, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი კავკავის გზის საფოსტო კანტორებისა და სადგურების სარევიზიოდ მიემგზავრება.

◆ საქართველოს **ეგზარხოსი** კვირას, 21 აგვისტოს, ს. მარტყოფიდან **ტფილისში დაბრუნდა.**

◆ ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, მოქალაქეთა აღწერის შესახებ.

სადღეისო

ცხოვრების გარეშე.

(ერთი კაცის დღიურის მეათე ფურცელი).

ეს ამბავი მოხდა ქალაქის ერთ რესტორანში, ამ ზაფხულს.

საღამოს ექვსი საათი იყო. ჯერ ისევ ცხელოდა, „ოსების" რესტორანში შევუხვიე ლუდის დასალევად.

რესტორანში დახლიდრის მეტი ვერავინ შევამჩნიე. ერთი ქიქა ლუდი დავლიე და ის იყო გამობრუნებას ვაპირებდი, რომ ერთის კუთხიდან ვიღაცაა დანჯღრეული ხმა მომესმა.

— ყმაწვილო!.. არ შეიძლება დაგვეპატიჟოთ!..

იმ კუთხისაკენ მივიხედე. ძონძებში გახვეული, თმა აბურძგნილი და ძალზე ჭუჭყიანი კაცი თითს მიქნევდა და ამღვრეულის თვალებით მიღიმოდა.

— ნუ გცხვენიათ, ყმაწვილო, მობძანდით, დაბძანდით... ვიმუსაიფოთ, არაყი დავლიოთ... რესტორანში ყველა თანასწორები ვართ, ეს არის ერთად-ერთი ადგილი მთელ რუსეთში, სადაც შეგიძლია თავისუფლად მოიქცე: შეიგინო გუ-

ფელეტონი

პრუსიის პირველდაწყებითი სახალხო სკოლა

მეტია ამჟამად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ხალხის კეთილდღეობის საუკეთესო თავდები ხალხის აღზრდა, ხალხში თვითცნობიერების გავცელებაა. თუ ხალხი უმეცრების მორევში სცურავს, თუ ხალხის სწავლა-განათლების საქმე ვიწრო ფარგლითაა შემოხაზული, ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა შეუძლებელია.

ყველგან, საცა კი საზოგადოებრივი ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, ხალხის სწავლა-განათლების საქმეს ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში იმ დიად საქმეს, რომელსაც სახ. სწავლა-განათლების საქმეს ეძახიან, ძლიერ ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი.

ამჟამად ყველა ხედავს, რომ სკოლამ ჩვენში დაჰკარგა თავისი განმანათლებელი მნიშვნელობა. ხალხის სწავლა-განათლების აწინდელს მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ თვითოეული ქართველი მოვალეა სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით და სხვ. ხელი შეუწყოს ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

ამ წერილში განზრახვა გვაქვს მივაწოდოთ მკითხველ საზოგადოებას ზოგიერთი ცნობანი პრუსიის სახელმწიფოს შესახებ იმ აზრით, რომ ამ ცნობებმა, ჩვენი სახალხო სკოლების რეორგანიზაციის დროს, ეგების რაიმე სამსახური გაუწიოს საქმის გულშემატკივართ.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის პრუსიას, სწავლა-განათლების მხრით საზოგადოდ და კერძოდ პირველდაწყებითი სახალხო სკოლების განვითარებით, ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. პრუსიის სახალხო სკოლა თავის ხანგრძლივის წარსულითდა, შედარებით, ბრწყინვალე აწმყოთი მრავალნაირად საგულისხმიეროა ჩვენთვის. კავკასიაშიაც მრავალი ისეთი რთული პირობანია, რაიცა პრუსიის სახალხო სკოლამ თავის დროზე თითქმის სავსებით განიცადა და, ასე თუ ისე, კიდევაც მოაგვარა.

პრუსიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახალხო სკოლებს რეფორმაციის დროს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ხალხში ახალის აზრების გავრცელება, საზოგადოებრივი აზრის შექმნა ახალის მოძრაობის სასარგებლოდ შესაძლო იყო მხოლოდ სკოლების საშუალებით. რეფორმაციის სულის ჩამდგმელთ ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული და კიდევაც ამიტომ სახალხო განათლების მოწესრიგება თავის სამღვთო მოვალეობად ჩასთვალეს.

მაგრამ ხალხის უკიდურესმა სიღარიბემ, რიგიან მასწავლებლების ნაკლებობამ და ხანგრძლივმა ომებმა მეტად შეაფერხეს პრუსიაში სახალხო განათლების უკედ მოწესრიგების საქმე მეთექსმეტესა და მეჩვიდმეტე საუკუნეებში.

მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში მეფე ფრიდრიხ პირველმა შემოიღო სავალდებულო სწავლა. ამ დიდმნიშვნელოვანმა აქტმა თუმცა დიდი სამსახური გაუწია სახალხო განათლებას, მაგრამ მაინც ამ საუკუნის ცდამ, ხალხის სიღარიბისა და უმეცრების გამო, მიზანს სავსებით ვერ მიაღწია და სახალხო განათლების საქმე ჯეროვნად ვერ მოაწყო.

სულ სხვანაირად დატრიალდა სახალხო განათლების საქმე მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ამ საუკუნის დასაწყისში, როგორც მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, საფრანგეთმა სულ ერთიანად გაანადგურა მთელი პრუსიის სამეფო. სწორედ ეს დამარცხება ბრძოლის ველზე შეიქმნა უმთავრეს მიზეზად მთელი სახელმწიფოს განახლებისა და აღორძინებისა. საფრანგეთის გამარჯვებამ დაარწმუნა პრუსიელები, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა მარტოოდენ მეომართა შუბების რაოდენობით არ განიზომება. პრუსია ამ ომის შემდეგ დარწმუნდა, რომ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება, ხალხის გათვითცნობიერება არის უძლიერესი იარაღი, რომლითაც შესაძლოა მამაცი მტრის ძლევა.

მართლაც, ამ ომის შემდეგ საზოგადოება და მთავრობა განსაკუთრებითის ყურადღებით მოეპყრო სახალხო განათლების საქმეს. დააწესეს საერო განათლების სამინისტრო. ერთი ორად გაამრავლეს სამასწავლებლო სემინარიების რიცხვი, ერთ-კლასიან სკოლების მაგივრად შემოიღეს სამ და მრავალ კლასიანი სკოლები და ამის მიხედვით გააფართოვეს სასწავლო პროგრამაც. სახალხო სკოლების კურსისა და სასწავლო პროგრამის გაფართოებამ გამოიწვია სამასწავლებლო სემინარიების პროგრამის გაფართოვებაც: მასწავლებლის სწავლა-განათლებასა და მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. სახალხო მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობაც, საპენსიო თანხის დაწესებით და სხვა მხრივაც, შესამჩნევად გააუმჯობესეს.

საზოგადოებისა და მთავრობის შრომამ და მეცადინეობამ, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სახალხო სკოლები მკვიდრს ნიადაგზე დაამყარა. პრუსიას ამჟამად სწავლა-განათლების მხრით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დასავლეთ ევროპაში.

უმთავრესი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს პრუსიის პირველდაწყებითი სახალხო სკოლა, იმაში გამოიხატება, რომ **სწავლა ყველასათვის სავალდებულოა.** თითოეული პრუსიელი ვალდებულია სკოლაში გაგზავნოს შვილი, როცა იგი ექვსი წლისა შეიქნება. მთავრობის აზრით, თითოეული პრუსიელი, რომელსაც პირველდაწყებითი ელემენტარული სწავლა არა აქვს მიღებული, სახელმწიფოსა და საზოგადოების მეტი ბარგია.

სასკოლო კანონმდებლობის მიხედვით, სწავლა სახალხო სკოლებში **თოთხმეტ წლამდის** გრძელდება. ამნაირად სახალხო სკოლისათვის რვა წლის კურსია დაწესებული, რომლის განმავლობაში სკოლამ უნდა „მიაწოდოს მოწაფეებს ცხოვრებისათვის საჭირო ცნობები და განამტკიცოს იგი ზნეობასა და სარწმუნოებაში".

რვა წლიწადი, მთავრობის აზრით, საკმარისი არ არის, რომ მოწაფემ რიგიანად შეითვისოს ცხოვრებისათვის საჭირო ცნობები, და ამიტომ არსებობს კიდევ ორი სხვა ტიპის სკოლა, რომელიც პირველ დაწყებითი სწავლის გასაგრძელებლადაა მიჩნეული.

სახალხო სკოლები დაარსებულია განსაკუთრებით სოფლისა და ქალაქის მკვიდრთა იმ ნაწილისათვის, რომელსაც შეძლება ნებას არ აძლევს გაგზავნოს თავისი შვილები, დაბალ სკოლებში კურსის დამთავრების შემდეგ, სხვა უფრო მაღალ სასწავლებელში. სწორედ ამიტომ სცდილობს სასკოლო მთავრობა, რომ სახალხო სკოლის კურსი, რაიცა შეიძლება, ხანგრძლივი იყოს და მოწაფემ, მართლაც, ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შეითვისოს ცხოვრებისათვის საჭირო ცნობები.

გარდა ამისა, სახალხო სკოლებში ასეთი ხანგრძლივი სწავლების შემოღებით, სასკოლო მთავრობას სურს მოზარდ თაობის ფიზიკურ განვითარებას ხელი შეუწყოს. მშობლებს, სანამ მოწაფე სახალხო სკოლას დაამთავრებდეს, კანონით აკრძალული აქვთ ამუშაონ ბავშვები ფაბრიკებსა და ქარხნებში, რათა ამნაირად ფიზიკურად არ მოიქანცოს მომავალი ახალთაობა.

ვინც სასკოლო კანონის დადგენილებას არ ასრულებს, მთავრობა მას აჯარიმებს. **ჯარიმის რაოდენობა** ყოველ კერძო შემთხვევაში დამოკიდებულია მშობლებისა და მზრუნველების ნივთიერ მდგომარეობაზე, დანაშაულის სიმცირე-სიდიდის ხასიათზე და ზოგიერთ ადგილობრივ პირობებზე. სასკოლო კანონი აჯარიმებს მშობელს, როცა იგი ექვსი წლის შესრულების შემდეგ არ გაგზავნის ბავშვს სკოლაში, როცა არასაპატიო მიზეზის გამო ბავშვს სწავლას მოაცდენს, როცა განსაზღვრულ დრომდის სწავლას შეაწყვეტინებს და სხვა ამგვარ შემთხვევებში.

პრუსიაში სახალხო სკოლების **შესანახ ხარჯს**, პირველ ხანად, ბავშვების მშობლები და მზრუნველები იხდიდნენ. შემდეგ, როცა პირველ დაწყებით სწავლას საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიეცა, სკოლის ხარჯი სოფლებსა და ქალაქებს დაეკისრა საერთოდ. ქალაქებს და სოფლის საზოგადოებათ ევალებათ შეიძინონ სასკოლო ადგილი, ააგონ სკოლის შენობა და გასწიონ ყოველგვარი ხარჯი სკოლის შესანახავად. თუ სოფელი, ან ქალაქი ღარიბია, ან სხვა სახელმწიფო სავალდებულო გადასახადს მომეტებულად ეწევა, მთავრობა განსაზღვრულ დროის განმავლობაში დახმარებას უწევს ადგილობრივ თვითმართველობას, ან სრულიად თავის თავზე იღებს სკოლის მთელს ხარჯს.

თუმცა მთავრობა ძლიერ წინდახედულად აწესრიგებს სასკოლო დახმარების საქმეს, მაგრამ მაინც დიდი ფული ეხარჯება. სახალხო სწავლა-განათლებაზე მთავრობის დახმარება, სტატისტიკურ ცნობების, მიხედვით წლითი-წლობით მატულობს.

მართვა-გამგეობის მხრით პრუსიის სახალხო სკოლები რთულს ორგანიზმს წარმოადგენენ. მთელი პრუსია დანაწილებულია პროვინციებად, ოლქებად და მაზრებად. ამის მიხედვით, არის გაწესრიგებული სახალხო სწავლა-განათლების მართვა-გამგეობაც. პროვინციებში სასწავლო საქმეებს განაგებს პროვინციის სასწავლო კოლლეგია, ოლქებში—ამ კოლლეგიის განყოფილება, ხოლო მაზრებში—ლანდრატები. მთავრობის მხრით სახალხო სკოლების უმთავრეს მეთვალყურეებად დანიშნულნი არიან სახალხო სკოლების ინსპექტორები. გარდა ამისა სახალხო სკოლებს სწავლა-აღზრდის მხრით თვალ-ყურს ადევნებენ „შულრატები" (სკოლების მრჩეველნი), რომლებიც მთავრობის წარმომადგენლებად ითვლებიან. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უმთავრესად თვითონ საზოგადოება ეწევა სახალხო სკოლების შესანახ ხარჯს საერობო გადასახადის სახით და ამიტომ სკოლების მართვა-გამგეობაშიაც დიდს მონაწილეობას იღებს. საზოგადოების მხრით სახალხო სკოლებს განაგებს არჩევნების პრინციპზე დამყარებული ორი ორგანო: სოფლებში—სასკოლო მართველობა და ქალაქებში—სასკოლო დეპუტაცია. სასკოლო მართველობის წევრებად ითვლებიან ადგილობრივი მღვდელი, მასწავლებელი და რამდენიმე საზოგადოების წარმომადგენელი, ხოლო სასკოლო დეპუტაციისა კი—ბურჰომისტრი (ქალაქის მოურავი), სამი ხმოსანი, სასულიერო წოდების წარმომადგენელნი და ადგილობრივი სახალხო სკოლების ინსპექტორი. ეს ორგანო სახალხო სკოლების თითქმის მთელი გამგე პატრონია, როგორც სწავლა-აღზრდის მხრივ, ისე სამეურნეო ნაწილის მხრივაც. ამ ორგანოების მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ, რომ ბავშვი სკოლას არ ასცდეს, რომ მოწაფეებმა სისტემატიურად იარონ სკოლაში და უმიზეზოდ გაკვეთილებს არ მოსცდენ. ეს ორგანოები უვლიან სკოლის ავლა-დიდებას, ცდილობენ გააუმჯობესონ სკოლა ნივთიერად, საზოგადოების მკვიდრთა შორის, შეძლების მიხედვით, გაანაწილონ სასკოლო გადასახადის რაოდენობა და დრო-გამოშვებით რევიზია გაუწიონ სკოლებს სწავლა-აღზრდის მხრით. მასწავლებლებს თუმცა მთავრობა ნიშნავს, მაგრამ წინააღმდეგ ამ ორგანოების სურვილისა მასწავლებლის სახალხო სკოლაში ბოგინი შეუძლებელი საქმეა.

ამნაირად სახალხო სკოლის მართვა-გამგეობა პრუსიაში ფაქტიურად ჩაბარებული აქვს თვით იმ საზოგადოებას, რომელიც სკოლისათვის შესანახავ ხარჯს ეწევა.

მთელის პრუსიის სახალხო სკოლები შეიძლება დავანაწილოთ სამ კატეგორიად: **ნორმალური სახალხო სკოლები, ეგრედ წოდებული „ფორტბილდუნგსშულე"** (განსაგრძნობი სკოლები) და **საშუალო სახალხო სკოლები** (მიტტელშულე).

ნორმალური სახალხო სკოლები სამის ტიპისაა: სამკლასიანი, ან მრავალკლასიანი სახალხო სკოლა, სახალხო სკოლა, ორის მასწავლებლით და ერთკლასიანი სახალხო, ან ნახევარ-დღის სკოლა (ჰალბტაგსშულე.) თითოეული დასახელებული სკოლა შესდგება დაბალ, შუათანა და უმაღლეს განყოფილებებისაგან.

ერთ-კლასიან სახალხო სკოლაში სწავლა სწარმოებს ერთს საკლასო ოთახში და მოწაფეთა რაოდენობა ოთხმოცს არ უნდა აღემატებოდეს.

გაკვეთილების რაოდენობა ასეთ სახალხო სკოლაში დაბალ განყოფილებაში ოცს გაკვეთილს არ აღემატება, ხოლო შუათანა და უმაღლეს განყოფილებაში—ოცდაათსა.

თუ, ვინიცობაა, ერთკლასიანს სკოლაში მოწაფეთა რაოდენობა 80 აღემატა, მასწავლებელი

ლიანად, ილაპარაკო შენ ჭირ-ვარამზე... თუ დაგიჭერენ, გვერდებს დაგიზელავენ, გამოგაძინებენ და მერე ისევ ქუჩაში გამოგაგდებენ!.. მაშ, გაუმარჯოს ქუჩას!—დაასრულა იმან თავისი სიტყვა და სავსე ჭიქით ხელში, ბარბაცით მომიახლოვდა.

— ველარ მიცანი?.. ჰა, ჰა, ჰა! რაღას მიცნობ? შენ... თქვენ... შენ... ახლა დიდი კაცი ხარ, მე კი ცხოვრების გარეშე ვდგევარ... არც აღარავინა მცნობს და აღარც მე ვიცნობ ვისმე. Наплевать бы хотѣлъ на всѣхъ!.. გაჯავრებით სთქვა იმან, არაყი გადაჰკრა, დაიღრიჯა და გადააფურთხა.

— შენც მანდ ეგდე! მიაძახა დალეულ არაყს, დახლზე ხელი დაჰკრა და გიჟივით გადიხარხარა.

— ანგარიში დავკარგე... ეს მგონი მეოცესა ვყლაპავ!.. მაშ რა ვქნა, თუ კი აღარ ვითრობი... არ მინდა გარშემო ადამიანებსა ვხედავდე, არ მინდა ვგრძნობდე ჩემ თავსაც... ჰა, მაშ აგრე, ველარა მცნობ? ჰა, ველარა მცნობ?—ჩამეკითხა დაჟანებით და სულის საძირკველში ჩამიდგა, თავისი სახე ჩემ სახესთან მოიტანა.

ვიცან, როგორ არ ვიცანი! ის იყო ნასტუდენტარი, ერთ დროს ჩემი კარგი ნაცნობი, მეტად ნიჭიერი და ამხანაგების ერთგული ბ. ქ—ი.

— ბიჭო, რა ღმერთი გაგწყრომია-მეთქი! გულ მტკივნეულად ვუთხარი, სხვა რომ ველარა მოვახერხე-რა...

— ღმერთი? რა არის ღმერთი?.. აი, ღმერთი! სთქვა იმან, აიღო ერთი ჭიქა და იატაკზე დაანარცხა. ჭიქა დაიმსხვრა. დახლიდარი იმის გასაგდებად მოემზადა. მე შუაში ჩავუდექ, ქ—ი ასეთ თავის სტოლთან მოვიყვანე და გვერდზე მოვუჯექ: მინდოდა დამემშვიდებინა...

დიდხანს ვისხედით უსიტყვოდ. მე იმას ვათვალიერებდი. ის კი ბობოქრობდა, ილანძღებოდა და მოუსვენრად ჰბორგავდა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ველარც თავი დამენებებინა და ვერც გამოლაპარაკებას ვახერხებდი.

სელტერის წყალი მოვითხოვე.

— არ გვინდა!.. დაუყვირა იმან—აი არაყი დავლიოთ არაყი... გულის ჭია მოვკლათ, სულის შფოთვა დავაყუჩოთ!.. სელტერის წყალი? ჰა, ჰა, ჰა! აქაც სიყალბე... ყველგან სიყალბე, ყველგან თვალთმაქცობა. ნეტა როგორა სცხოვრობთ, ადამიანებო, ქვეყანად, ნეტა არა გბეზრდებათ ყალთაბანდობა, ერთმანეთის მოტყუება, ფლიდობა, ორპირობა?.. როგორა სცხოვრობთ მეთქი?—დამეკითხა იგი და არეული თვალები თვალში გამიყარა.

— შენ შენ თავს დაეკითხე, როგორა სცხოვრობ? განა შეგშვენის ასეთი ყოფნა, ასეთი საქციელი? რა მოგვსლია მეთქი?—რაც შეიძლება ლბილის კილოთი დავეკითხე.

— ძირს ცრუ მქადაგებელნი! ის მიმოვიდა, რომ ნიღაბი ჩამოვიხსნე, შევიძულე ქვეყანა და მისი ზნე-ჩვეულება. არ მინდა მატყუარა ვიყო. კაი კაცობით ვერას გავხდი, ჩემზე ავკაცები კიდევ სხვანი გამოჩნდნენ და დავრჩი თქვენის ცხოვრების გარეშე... განვთავისუფლდი-მეთქი, გესმის, თვალთმაქცობისაგან!—ყვიროდა იგი, სტოლზე ხელებს ურტყავდა, შფოთავდა.

— ქვეყანა ხომ თვალთმაქცობისაა!.. არა გჯერა?—აღარ ისვენებდა იგი—ავიღოთ უბრალო მაგალითი—აბა, რაზე იკლავ ამ სიცხეში თავს მაგ გახამებულის პერანგით, კისერი რომ მგელივით გაგიშეშებია. იმიტომ, რომ ყველას აგრე აცვია, იმიტომ, რომ ყველა მაიმუნობს?..

რა ვაჟკაცი ხარ, რომ სხვის ფეხის ხმას ასდევ! თქვენ მაიმუნობთ გარეგნობით, მაიმუნობთ სულიერადაც. ეს ჩემ თავზეც გამოვსცადე... მეც თქვენის წრის, თქვენის აზრების კაცი ვიყავ... გახსოვს? ახლ მუნდირში რომ გამოვეწყობოდი ხოლმე და ფაიტონით დავსეირნობდი? მაშინ ჩემი თავი ადამიანი მეგონა: ვიცინოდი, ვიღრიჭებოდი, სადარბაზოდ დავდიოდი, ნაცნობებს სალამს ვაძლევდი, უფროსებს პატივსა ვცემდი, ქალებს ვეთაყვანებოდი, ბავშვები, ახალთაობა მიყვარდა თავ-განწირვით, მომავლის ბურჯებად მიმაჩნდნენ. მეც ვემზადებოდი მომავალ მოღვაწეობისათვის, მაგრამ ის კი დავიწყებული მქონდა, რომ ადამიანური მოღვაწეობა მხოლოდ თავისუფალ მხარეში, თავისუფალ ხალხში შეიძლება, იმ ხალხში, რომელიც ღირსეულად ატარებს თავის ვინაობას, რომლის თითოეულ წევრსაც ესმის უფლება მეორისა, რომლის თითოეული წევრიც აფასებს მეორის პიროვნებას... ჩემი დროის ხალხი კი... ეჰ!—ამოიგმინა იმან და გაჩუმდა.

არ ვიცი ხანგრძლივის ლაპარაკის ბრალი იყო, თუ მის გულში დაგუბებული ბოღმა სასმელზე უფრო ძლიერი გამოდგა, ეს კია, რომ სახე თანდათან ეწმინდებოდა, თვალების კილოებში სევდა აკედებოდა, ფითრდებოდა...

მე ვიცოდი ზოგი რამ იმის წარსულიდან, ვიცოდი, რომ გზიდან გადავარდა, მაგრამ თუ ასე გაუბედურდებოდა, არ მოველოდი. გაქვავებული ვიჯექ მის გვერდით და სიტყვები ვერ მეპოვნა.

ალბად ძალიან ნაღვლიანის თვალით შევყურებდი რომ, მწარედ გადიხარხარა და მითხრა.

— რას მიყურებ აგრე სევდიანად. გეცოდები? ჰა, ჰა, ჰა! საცოდავი შენა ხარ. მე კი შესაცოდი არა მაქვს-რა. დაე, დაინახოს ხალხმა, სადამდის შეუძლიან მიიყვანოს კაცი, მათმა თვალთმაქცობამ!

— შენი არა მესმის-რა მეთქი? ჩემდა უნებურად ვუპასუხე.

— და ვერც გაიგებ, ვიდრე ემორჩილები იმ ყალბ ცხოვრებას, რომელსაც შენ და ათასი შენისთანა ატარებს,—დინჯად მიპასუხა იმან შენ ისე გიყვარს შენისთანების ცხოვრება, როგორც ძაღლს—ნასუფრალი და მაიმუნს—ხეზე ხტუნაობა. მე კი მოვშორდი იმათ... ისინი თუ ბოსიაკს მეძახიან, მე მტარვალებს ვუწოდებ, ისინი თუ თვალს მარიდებენ, მე განგებ თვალებში ვეჩხირები, რომ დაინახონ, იგრძნონ ნაყოფი თავისის ვერაგობისა. იქნება შენა გგონია ჩემში **სული** მომკვდარიყოს? არა! სული, გონება საღი მაქვს, მაგრამ იმათ, იმათა აქვს გონება დაბნელებული, გული გაქვავებული, სული დაკნინებული. ერთი მეორეს ატყუებს, ერთი მეორეს სჩაგრავს, ერთი მეორეს ატყევებს, არჩობს, ჰკლავს, რომ მარტო თითონ იცხოვროს, მარტო თითონ იყოს ბედნიერი, მაძღარი, წარჩინებული, ძლიერი, ბატონი! მაშ რათაა ერთი ძონძებში გამოხვეული, მეორე კი, აგრე შენსავით, გახამებულ პერანგით კისერ გაშეშებული! ჰა, ჰა, ჰა!—ღოთიფოთურად გადიხარხარა იმან და მერე ნაღვლიანად შემომხედა.

— მე რომელი სოვდაგარი მნახე-მეთქი? ცოტა არ იყოს ვუსაყვედურე და მალე ენაზე ვიკბინე.

— ვიცი, რომ საკუთარის შრომითა სცხოვრობ—განაგრძო იმან,—მაგრამ ისიც ვიცი რომ, შენ და ათიათასი შენისთანა, მზადა ხართ მუდამ ნასუფრალით იკვებებოდეთ, ოღონც კი თქვენის ცხოვრების მყუდროებას ნურავინ დაარღვევს... და აი, სწორედ ამითი სარგებლობენ ძლიერნი ამა ქვეყნისა: წიწილებივით საკენკს გიყრიან და თქვენც თავი ბედნიერი გგონიათ... მეც ჩემი თავი ოდესღაც ბედნიერი მეგონა!..

არაყი დაისხა, მწყურვალივით შესვა და განაგრძო.

— გახსოვს ჩემი სიყმაწვილე? მე თავითვე არ ვიყავ მლიქვნელი და საძაგელი. კოხტა, ამაყი, ამპარტავანი ვიყავ, ცოდნაცა მქონდა, მოხერხებაც, მაგრამ ცხოვრების სიყალბეს ვერ შევურიგდი: სადაც წაველ—დამონავება მომინდომეს, რის გაკეთებაც განვიზრახე—აღკრძალული გამოდგა, შევიყვარე—მომატყუეს, დავუმეგობრდი ვისმე—გაჭირვებაში მიღალატა. სულ გროშებითა ზომავდნენ ჩვენ დამოკიდებულებას. საყვარელმა მდიდარზე გამცვალა, მეგობარმა—დამივიწყა, რაკი ველარას ჩავაცეცხლებდი, უფროსებმა სატუსაღოში მიკრეს თავი, უმცროსებმა მახარად ამიგდეს,—საზოგადოებამ დამივიწყა, როგორც დაივიწყებენ ხოლმე ქუჩაში გადაგდებულ კატის კნუტს, როგორც ივიწყებენ ნაკადულად ქცეულ ცრემლებს,—როგორც ივიწყებენ მშიერ-მწყურვალთ, უბინაოებს, ავადმყოფებს, ტუსაღებს, თავ-გამოდებულ მებრძოლთ—ბროლის სასახლეში მყოფნი მილიარდერები!... მარტო ქუჩაა ჩემი ერთგული, მარტო ჩემი გაბედულებაა ჩემი მხსნელი.

გათენებისას, როდესაც კლუბში ბანქოს თამაშით თავსბრუ დასხმული განცხრომის ძენი სახლში ბრუნდებიან, დაუხვდები ხოლმე წინ—ფულებს ვართმევ და მერე ვსვამ, ვსვამ თავდავიწყებამდის. მეშინიან რომ ფხიზელს არავინ შემომაკვდეს, გველის წიწილივით თავი არავის გავუსრისო მათის არა ადამიანობით გაბრაზებულმა.

რომ იცოდე, როგორ მერიდებიან ყველანი, როგორის ზიზღით გადმომიგდებენ ხოლმე თითო-ოროლა გროშს, როგორ გამირბიან! ჰა, ჰა, ჰა! განა თუ გრძნობენ ის უკეთურნი, რომ ისინივე არიან მიზეზნი ჩემის ასე დაცემისა, განა თუ სინიდისი აწუხებთ! ჰა, ჰა, ჰა! მევე მამტყუვნებენ...

მე აქ რა შუაში ვარ! მწიფე ხილი ღორისაა, მგრძნობიერი ნაწილი ხალხისა სწორედ რომ ღორების სათელი ხდება, მათი ღორ-მუცელობის მსხვერპლად იწირება! ძირს ღორები, გაუმარჯოს თავისუფალ ადამიანს!—დაიღრიალა იმან და რამდენიმე ჭიქა ზედი-ზედ გადაჰკრა. ხოლო, როცა მეოთხე თუ მეხუთე ჭიქა პირთან მიიტანა, ჩემდა უნებურად ხელი დავუჭირე.—მომშორდი თავიდან!—დამიღრიალა გონება დაკარგულმა და ერთი შემომიკურთხა.

— მომშორდი მეთქი თავიდან, წადი მიემატე იმათ, ვინც მუდამ სტყუის, ვინც მუდამ სხვის დამამცირებელია. Наплевать на всѣхъ васъ! თქვენ თავს გაუფთხილდით, თქვენ ვითომდა უმანკოებას დაუკვირდით, ჩემთან რა საქმე გაქვს... მე განხორციელებული შურის ძიება ვარ. სიცოცხლე გროშადაც არ მიღირს, მაგრამ ვცხოვრობ იმიტომ, რომ თვალები დაგჩხვლიტოთ, თქვენ ვითომდა ხალხზე ზრუნვას მარად ვაფურთხო!

ბიჭო!—დაუყვირა მერე დახლიდარს—აი, ეს გაგისწორდება!—მიუთითა ჩემზე, რამდენიმე ჭიქა კიდევ დაამსხვრია, ხარივით დამიბღვირა და თოფნაკრავივით გარედ გამოვარდა.

დუქნის პატრონი ქუდ მოგლეჯილი გამოეკიდა

—

ქუჩაზე, რომ გამოვედი, ერთი აურ-ზაური იყო. ქ—ი გამდგარიყო შუა ქუჩაზე, ყვიროდა ღრიალებდა, გამვლელ-გამომვლელს ლანძღავდა, პოლიცელებს აგინებდა, ყველას ბრმასა და ყრუს უძახდა, რომ ვერა ხედავდნენ თავის დამცირებას, ვერა გრძნობდნენ, რომ მოტყუებულნი იყვნენ...

— აკენკეთ, აკენკეთ ნაკმაზი, კრუხებო, წიწილებო, უვიცებო, მშიშრებო... მოლოდინი ხომ გაგიმართლდათ!... ზავი... პარლამენტი! ჰა, ჰა, ჰა,!—ხითხითებდა იგი გრძნეულსავით. კიდევ რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ერთმა ხელმარჯვე ახმახმა გოროდოვოიმ ისე მძლავრად ჩაჰკრა კისერში ხელი, რომ ქ—ი კოკასავით ქვებზე წამოპირქვავდა, სახე მტვერით აევსო, ცხვირიდან სისხლი წასკდა.

პატარა ხანს უკან გამოსაძინებლად პოლიციაში წაიყვანეს.

ნახულ ნაგრძნობით გულმოკლული, მწარედ დაფიქრებული მეც ჩემ გზას დავადექ...

ია ეკალაძე.

საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებელთა სასურველ რეფორმის შესახებ

ამ დღეებში, როგორც ,,ივერია‘‘-ში იყო მოხსენებული, საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებელთა (სემინარიაც და საეპარქიო საქალო სასწავლებელიც იგულისხმება) სამმართველოებმა მიიღეს სინოდის ბრძანება, რომლის ძალითაც, სხვათა შორის, ამ სამმართველოთა გადასაწყვეტად გადმოცემულია ერთი საკითხი: «რა ღონისძიებით შეიძლება მომავალს სასწავლო წელს ხსენებულს სასწავლებლებში სწავლის საქმე წესიერად მიმდინარეობდეს‘‘.

ეს საკითხი ფრიად დიდ-მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ამ სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ ახალთაობისათვის ნამდვილად გული შესტკივა. ჩვენ არ შეგვიძლია წინდაწინ განვსაზღვროთ, რა გვარ პასუხს შეიტანს ამ საკითხზე სასწავლებლის ამა თუ იმ გამგეობის თითოეული წევრი. შეიძლება, ბევრი მათგანი, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა არა-მცოდნე, არსებითად არც კი შეეხოს სინოდის-მიერ გადმოცემულს საკითხს და ცალმხრივი პასუხი გასცეს...

ჩემის აზრით, ერთად-ერთი არსებითი პასუხი ამ საკითხისა ისაა, რომ საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე ძირითად შეიცვალოს, თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობის მთავარ ხასიათის თანახმად. ეს ძირითადი ცვლილება შეიძლება მოხდეს იმ სახით, რა სახითაც სურს საქართველოს სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლებს. მათის აზრით, უნდა დაარსდეს სასულიერო წოდების შვილთათვის „საზოგადო ტიპის“ სასწავლებლები, საერო გიმნაზიების მსგავსად, რომლის მოწაფეებს, კურსის დამთავრების შემდეგ, ნება უნდა ჰქონდეთ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა; სასულიერო თანამდებობის პირთ მოსამზადებლად კი უნდა დაარსდეს საკუთრად სღვთისმეტყველო კათედრები 2—3 წლის კურსით, ისე კი, რომ ამ კურსებზე ყველა საგნებს ქართულად ასწავლიდნენ. ვისაც სასულიერო თანამდებობისათვის სურვილი და მოწოდება აქვს, ის ამ კურსებზე გადავა საზოგადო ტიპის სასწავლებლიდამ, ხოლო სხვები კი სხვა გზას დაადგებიან. ასე უნდა სწავლის საქმის მოწყობა თვით რუსეთის სამღვდელოებასაც (იაროსლავისას, პეტერბურგისას, კიევისას და სხვ.). რასაკვირველია, „საზოგადო ტიპის“ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას, ისტორიას და მწერლობას შესაფერი ადგილი უნდა დაეთმოს... იმ დრომდის, როდესაც ჩვენ შეძლება გვექნება, ვიქონიოთ ნამდვილი ეროვნული სასწავლებლები...

სასულიერო უწყების ჩვენებურ სასწავლებელთ თითოეულმა შეგნებულმა წევრმა ამ თვალით უნდა შეხედოს სინოდის-მიერ წამოყენებულ საკითხს და თავისი დასაბუთებული ამის შესახებ აზრი თამამად უნდა წარმოსთქვას. დროებითი შეკეთებებით, დროებითი დაკერებით საქმეს არა ეშველება-რა...

ილ. ფერაძე.

რუსეთი

✦ **პოლიციის დეპარტამენტი გადააკეთეს.** წინად დეპარტამენტი განაგებდა პოლიტიკურ საქმეებსაც და არაპოლიტიკურსაც და ერთი დირექტორი ჰყავდა. ახლა კი პოლიტიკურ საქმეების დირექტორი სხვა იქნება, არაპოლიტიკურისა—სხვა. პოლიტიკურ საქმეებს განაგებს სტ. სოვ. რაჩკოვსკი, ვიცე დირექტორად დანიშნულია იურისტი, რომელიც წინად სახელმწიფო კანცელარიის საქმის მწარმოებელი იყო. პოლიტიკურ საქმეების დეპარტამენტი ოთხ განყოფილებად არის გაყოფილი. ორივე დეპარტამენტს განაგებს პოლიციის მინისტრი გენ. ტრეპოვი (რ. ვ.).

✦ დღემდის **წითელ ჯვარს ბრძოლის ველზე დაუხარჯავს** 22,340,157 მანათი. შემოსავალი ჰქონია 20,107,185 მანათი. შემოწირულება თითქმის აღარ მისდის, ხარჯი კი მომავალშიაც დიდი ექნება (რ. ვ.).

✦ 16 აგვისტოს პეტერბურგის საოლქო სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე მოსკოვის ლეიბ-გვარდიის პოლკის სალდათის ომეცინსკისა, რომელმაც, სამსახურის დროს, **მძიმედ დასჭრა** აფიცერი. სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუცხადებიათ (რ. ვ.).

✦ 12 აგვისტოს კრემენჩუგში **მოჰკლეს** საერობო დარაჯთა ურიადნიკი. მკვლელი მიიმალა (რ.).

✦ 10 აგვისტოს მოგილიოვში **მოჰკლეს** პოლიციელი. მკვლელი მიიმალა (რ.).

ვალდებულია მოწაფეები დაჰყოს და სწავლა სადილობამდის და სადილს შემდეგ აწარმოვოს. საქმის ასეთი ვითარება, რასაკვირველია, მასწავლებელს მძიმე ტვირთად აწვება და ამიტომ ამ სკოლების ტიპის რაოდენობა თანდათან კლებულობს და სხვა ტიპის სკოლებს უთმობს ადგილს.

სახალხო სკოლებში, საცა ორი მასწავლებელი მუშაობს, სწავლა თვითეულ საკლასო ოთახში სწარმოებს და მოწაფეთა რაოდენობა საერთოდ ას ოცს არ უნდა აღემატებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სახალხო სკოლა სამკლასიან სკოლად უნდა გადაკეთდეს.

მრავალკლასიან სკოლებად სამკლასიანი და ოთხკლასიანი სკოლები ითვლებიან. გაკვეთილების რაოდენობა ასეთს სკოლებში არ უნდა აღემატებოდეს უმდაბლეს განყოფილებაში ოცდა ორს გაკვეთილს, შუათანა განყოფილებაში—ოცდა რვას და უმაღლეს განყოფილებაში ოცდა ათს გაკვეთილს.

განსაგრძობ სკოლების თავი და თავი დანიშნულება არის უფრო მკვიდრად შეათვისოს მოწაფეებს ზემო დასახელებულ სახალხო სკოლებში განვლილი კურსი და ამასთანავე დაწვრილებით გააცნოს ზოგიერთი სპეციალი საგნები, რაიცა ცხოვრებაში მოწაფეთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ეს სკოლები დაარსებულია ვაჭართა, მოხელეთა და მუშა-ხალხისათვის. ამ სკოლების დაარსება სულ ახალი საქმეა და ამიტომ იგინი თავის საკუთარს შენობებშიც კი არ არიან მოთავსებულნი ისეთს ქალაქებშიაც კი, როგორიც არის ბერლინი. ჯერ-ჯერობით ეს სკოლები თავსდებიან ქალაქის სახალხო სკოლებისა, გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების შენობებში, რადგან სწავლება საღამოობით სწარმოებს.

საღამოობით, როცა მუშაობა თავდება ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებებში, ასეთს, დროებითს შენობებში გროვდებიან, ქალაქის სხვადასხვა ადგილას სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულნი, და ჯგუფ-ჯგუფად ისმენენ ამა თუ იმ მასწავლებლისაგან საჭირო სპეციალურს საგანზე ლექციას, რვა საათიდან დაწყებული ვიდრე ათ საათამდის.

ჩვენ პირადად შემთხვევა გვქონდა დაგვეთვალიერებინა ასეთი სკოლები თვით ბერლინში და ჩვენ გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მოწაფეები თურმე ძალიან იშვიათად აკლდებიან გაკვეთილებს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით ეს სკოლები სავალდებულონი არ არიან და სწავლაც უხერხულ დროს უხდებათ მოწაფეებს, როცა იგინი მთელის დღის მუშაობის შემდეგ ფიზიკურად მოქანცულნი არიან. თითოეულს გაკვეთილს სპეციალურ რამ საგნის გარკვევა აქვს მიზნად და ამის მიხედვით ავარჯიშებს მასწავლებელი მოწაფეებს. ჩვენ დავესწარით, მაგალ., ისეთს გაკვეთილებს, როცა მასწავლებელი უხსნიდა მოწაფეებს საკომერციო დაწესებულებათა ორგანიზაციას და ფრანგულს ენაზე ათარგმნინებდა საკომერციო მიწერ-მოწერის შინაარსს. მოწაფეები დიდის გულმოდგინეობით ისმენდენ გაკვეთილს, ადგენდენ სათანადო კონსპექტებს, გაკვეთილის დროს და საჭირო შემთხვევაში დამატებითი კითხვებითაც მიმართავდენ ხოლმე მასწავლებელს.

საშუალო სახალხო სასწავლებლებს შუათანა ადგილი უჭირავს ნორმალურ სახალხო სკოლებსა, გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებლებთა შორის. ეს სკოლები გაცილებით უფრო მეტს ცოდნას აძლევს მოწაფეებს, ვიდრე ზემოდ დასახელებული ნორმალური სახალხო სკოლები. უმთავრესი დანიშნულება ამ სკოლებისა ის არის, რომ მოქალაქეთა შვილებს, რაც შეიძლება, უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნა მისცეს. გარდა ამისა, დასახელებული სკოლები გზას უკვალავენ მოწაფეებს გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლებისაკენ და ამნაირად პრუსიის სახალხო სკოლა რამოდენიმედ მაინც უკავშირდება საშუალო სასწავლებლებს.

დასახელებულ სახალხო სკოლებში შემდეგ საგნებს ასწავლიან: 1) სამღვთო სჯულს, 2) გერმანულ ენას, 3) ანგარიშს, 4) გეომეტრიას, 5) ხატვას, 6) რეალურ საგნებს, 7) გალობას, 8) გიმნასტიკას, 9) ხელსაქმეს (ქალებს), 10) ბუნებისმეტყველებას, 11) ფიზიკას, 12) ქიმიას, 13) ისტორიას და 14) გეოგრაფიას. გარდა ამისა განსაგრძობ სკოლებსა და საშუალო სკოლებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი უცხო ენებს და მათ შორის რუსულ ენასაც-კი.

ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია სასწავლო პროგრამის დაწვრილებით განხილვას შევუდგეთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ თითოეულ საგნის სასწავლო პროგრამა სავსებით შეფარდებულია სახალხო სკოლის უმთავრეს დანიშნულებასთან, რაიცა, ვიმეორებთ, იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფეებს მიაწოდოს „ცხოვრებაში გამოსადეგი ცნობანი და განამტკიცოს იგინი სარწმუნოებასა და ზნეობაში“.

ჩვენ აქვე არ შეგვიძლია არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახალხო სკოლების დანიშნულების მეორე ნაწილს ამჟამად თითქმის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომლის სათავე საშუალო საუკუნოების სასკოლო კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ და რომელიც ტრადიციონურად თითქო დღესაც ძალაშია. ეს მოსაზრება რომ სიმართლეს მოკლებული არ არის, იმითაც მტკიცდება, რომ სამღვთო სჯულის სწავლებას საგნად აქვს დასახული პრუსიის სახალხო სკოლებში მხოლოდ სამღვთო წერილის კითხვას შეაჩვიოს მოწაფენი.

სახალხო სკოლების გარეგანი და შინაგანი მოწყობილობა **ჰიგიენისა და პედაგოგიის მოთხოვნილებას** მაინცდამაინც ზოგიერთს ღარიბს სოფლებში თუმცა სავსებით ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას ბერლინისა და სხვა თვალსაჩინო ცენტრების შესახებ, რომელთა სახალხო საქალაქო სკოლები ამ მხრით მეტად კარგსა და სწორედ შესაფერს პირობებში არიან ჩაყენებულნი.

ბერლინის საქალაქო სახალხო სკოლები თავისის მოწყობილობით თითქმის ქალაქის განაპირა უბნებშიაც კი გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებს უკან არ ჩამოუდგებიან.

ბერლინის ყველა სამოქალაქო სასწავლებლები, რომელშიაც სწავლა რვა წლის განმავლობაში გრძელდება, შენობის მხრით თითქმის ერთსა და იმავე გეგმაზე არის აგებული. თვითოეული შენობა სამის კორპუსით, რომელთა გარეგანი შეხედულება ქართულს ასოს „ო“-ს მოგაგონებს, ამაყად დასცქერის ფართოსა და ირგვლივ ხეებით შემორგულს წმინდად მოკენჭილს ეზოს. სასწავლო კლასები კორიდორების ორთავე მხარეზედაა მოთავსებული. თითოეულ საკლასო ოთახის სიგრძე-სიგანე ათი არშინია. თითქმის კედლების სიმაღლეზედ სამ-სამი მაღალი და ფართო ფანჯარა არის ამოჭრილი. საკლასო დაფა ყველგან კედელშია ჩატანებული და საჭიროებისამებრ შესაძლოა მისი აწევ-დაწევა. პირველ დასყებით განყოფილებაში ყველგან მასწავლებლის კათედრაზე ძევს ერთგვარი აპარატი, რომლის საშუალებით ადვილად შესაძლო არის თვითოეული სიტყვის შედგენა. მასწავლებლის სიტყვით, ამ აპარატების საშუალებით, მოწაფეები ძრიელ ჩქარა ითვისებენ კითხვის მექანიზმს. თვითოეულ საკლასო ოთახში ბლომად მოიპოვება მშვენიერად დახაზული რვეულები, რომელშიაც ნოტებზე გადაღებულია საერო სიმღერები. კედლები ერთიანად შეჩითული არის სხვადასხვა საჭირო სურათებით და რუკებით. თვითეულ სასწავლებელში ფიზიკური კაბინეტი და ვეებერთელა დარბაზი არის აუცილებლივ მოთავსებული. დარბაზი სახატავ ზალად არის მიჩნეული და, ამის მიხედვით, იქ გამწკრივებული სამოსწავლო სტოლებიც მრავლად განსხვავდება საკლასო სტოლებისაგან. მოწაფეების რაოდენობა თითოეულს კლასში 45-ს არ აღემატება.

სახალხო სკოლის მასწავლებელი ნივთიერადაც შედარებით უზრუნველყოფილია. მას თითქმის ყველაფერი ხელს უწყობს სწავლების საქმე ნაყოფიერად აწარმოვოს.

მართლაც, პრუსიის სახალხო სკოლის პრაქტიკა ძნელად ურიგდება იმ გარემოებას, რომ მოწაფემ სწავლაში წარმატება ვერ გამოიჩინოს.

თუ მოწაფე სწავლაში წარმატებას ვერ იჩენს და ცუდად სწავლობს, პრუსიის სასკოლო ადმინისტრაციის აზრით, დამნაშავე არის მასწავლებელი, რომელიც ასეთ შემთხვევაში პირდაპირი პასუხის მგებელია.

სარწმუნოების საკითხი დიდ ხანს იყო მიჩნეული პრუსიაში საჭირბოროტო საგნად, რადგან სარწმუნოების მხრით ეს სახელმწიფო მრავალ სხვადასხვაობას წარმოადგენს. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ პრუსიის ისტორიის განვითარებაში მრავალი ისეთი ისტორიული მომენტები მოიძებნება, როცა კათოლიკებისა და პროტესტანტების შორის დიდი შუღლი და უთანხმოება არსებობდა, ამ შუღლისა და უთანხმოების შეტანა სკოლაში სასკოლო ადმინისტრაციას მოუხერხებლად მიაჩნდა და ამიტომ სახალხო სკოლების ორგანიზაციის დროს თვითეულს სარწმუნოების წარმომადგენელთათვის მიჩნეული იქმნა განსაკუთრებული სკოლა. ამნაირად ამჟამად პრუსიაში სახალხო სკოლები დანაწილებულია ამა თუ იმ სარწმუნოების მიხედვით. ხოლო, როცა ასეთი დანაწილება ადგილობრივ პირობების მიხედვით შეუძლებელი და მოუხერხებელია, იმ შემთხვევაში მთავრობა მაინცდამაინც ავალებს სკოლას, რომ მოწაფეების უმცირესობამ, რომელიც აღიარებს ამა თუ იმ სარწმუნოებას, თავის სარწმუნოების მიხედვით ისწავლოს სამღვთო სჯული

მშობლებისა, ან საზოგადოების ხარჯით იწვევენ ხოლმე ასეთს შემთხვევაში სამღვთო სჯულის განსაკუთრებულ მასწავლებელს. თუ ხარჯის გაღებას საზოგადოებამ ვერ მოახერხა, მთავრობა ეწევა ამ ხარჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოწაფეთა რიცხვი თორმეტზე არა ნაკლებია.

ენაც ისე, როგორც სარწმუნოება, მრავალს სხვადასხვაობას წარმოადგენს პრუსიაში. გერმანელი, პოლონელი, ლიტველი, დანიის მკვიდრნი და სხ. ერთი მეორეში არეულნი და დაქსაქსული არიან. უმთავრესი პრინციპი, რომლითაც პრუსიის მთავრობა ხელმძღვანელობს სახალხო სკოლებში ენის მოწესრიგების დროს, იმაში გამოიხატება, რომ სხვა ერების წარმომადგენლებმა სახელმწიფო ენა უთუოდ უნდა იცოდნენ და ამიტომ მთავრობა ყოველის ღონისძიებით ცდილობს გერმანულ ენის გავრცელებას არა გერმანელებში და ამისათვის დამოკიდებულ ეროვნებათა დედა-ენას ძალიან სდევნის და ავიწროებს.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ პრუსსიის სკოლებში არსებული მოწაფეთა სასკოლო **დისციპლინაც**. ყველა ტიპის სკოლებში იშვიათი დისციპლინა არის, რასაც, რასაკვირველია, თავისი ღრმა ისტორიული საფუძველიც აქვს. პრუსიელმა მასწავლებელმა არ იცის, რა არის საკლასო დისციპლინის დარღვევა, მისთვის უცნობი ხილია „გაჩუმდით! დამშვიდდით“! და სხვა ამგვარ მათრახების საშუალებით დისციპლინის დამყარება. თითოეულ მოწაფეს ნათლად შეგნებული აქვს, რომ მას უფლება არა აქვს თავის ცუდის ყოფაქცევით სხვას სწავლაში ხელი შეუშალოს. დასვენების დროს მოწაფეებს თავს არ დასტრიალებს აღმზრდელთა და მასწავლებელთა მთელი ლეგიონი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგინი მშვიდად და წყნარად ერთობიან სასკოლო ეზოში და, გაკვეთილის დაწყების დროს, მშვიდად და წყნარად შედიან თავიანთ კლასებში.

ბერლინის ქალაქის ერთ-ერთ სახალხო სასწავლებლის ორმა მასწავლებელმა სამასამდე მოწაფე ქალ-ვაჟი წაიყვანეს საექსკურსიოდ ბერლინიდან ჩვიდმეტის ვერსის სიშორეზე რკინის გზით. ჩვენ შემთხვევა გვქონდა მიგვეღო მონაწილეობა ამ ექსკურსიაში და პირადად შეგვემოწმებინა ის იშვიათი წესი და რიგი, რომელსაც იცავდენ პატარა ექსკურსანტები, როგორც გზაში, ისე თვით საექსკურსიოდ დანიშნულს ადგილას.

ასეთი დისციპლინა რუსეთის სკოლებისათვის ჯერ-ჯერობით სანატრელი ხილია, მაგრამ უეჭველია, თუ დღევანდელმა დიადმა ისტორიულმა მომენტმა საზოგადოების იმედები გაამართლა, აწინდელი ჩვენი სასკოლო რეჟიმიც შეიცვლება და მრავალი ისეთი გარემოება, რომელიც გუშინ და გუშინ-წინ სხვა ქვეყნებში გვაკვირვებდა, ხვალ და ხვალზევით ჩვენს ქვეყანაშიაც გადმოინერგება...

ა. მიქაბერიძე.

◆ ბალტაში გაირჩა საქმე გლეხებისა, რომელთაც მემამულის ვოიტენკოს მოკვლა და იმის სახლ-კარის აკლება ბრალდებოდათ. 4 კაცს კატორღაში გაგზავნა მიუსაჯეს, 9-ს—პატიმართა რაზმში გაგზავნა, 1—საპყრობილეში დამწყვდევა ერთის წლით (რ.).

◆ ქერჩში ებრაელების აკლების დროს ხულიგანებმა მოჰკლეს 17 წლის გიმნაზისტი და ძალიან სცემეს საბჭოს ხმოსანს ბელის, რომელიც სიკვდილის პირზეა (ნ.).

◆ ქერჩის ნავთსადგურის უფროსთან მივიდა ებრაელების დეპუტაცია და მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ იგი **„ერთად ერთი კაცი აღმოჩნდა“** მთელ ქერჩში, რომელიც ებრაელებს მიესარჩლა და დაიცვა (რ. ს.).

◆ ვარშავიდან პეტერბურგში მისულან პედაგოგები დიეკე, როტვალდი, ნატანსონი და დრჟევიცკი, რომელთაც პოლონეთის საკომერციო სასწავლებლებში **პოლონურ ენის სწავლის ნებართვა** უნდა ითხოვონ (რ. ს.).

◆ რუსეთ-ბალტიის ქარხნის მუშებმა ადმინისტრაციას შეკრების ნებართვა სთხოვეს. ადმინისტრაციამ ნებადართო, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კრებას მარტო ამ ქარხნის მუშები დაესწრნენ; კრებაზე 500 კაცზე მეტი არ უნდა დაესწროსო. კრება პოლიციის აგენტის ზედამხედველობით მოხდება და **ორატორები პოლიტიკურ საკითხს არ გადასწყვეტენო.** კრება ამ პირობებით არ შესდგა (ს. ო.).

◆ მოსკოვში დონის კაზაკთა ახალი პოლკი მივიდა. ქალაქს თავის ხარჯზე უნდა შეენახა ეს პოლკიც, მაგრამ **საბჭომ უარი განაცხადა,** სამაგისო ფული არა გვაქვს და ჩვენც წყნარადა ვართო (მ. ვ.).

◆ სმოლენსკის ქალაქის საბჭომ საინტერესო **მოწოდებით მიჰმართა** იქ დაბინავებულ **სალდათებს.** მოწოდებაში ნათქვამია, რომ სალდათები ისეთივე მოქალაქენი არიან, როგორც დანარჩენები, რომ ყველანი ძმები არიან და სალდათებს არ შეჰფერით იარაღით სარგებლობა და უიარაღო, ისედაც დატანჯულ-დამონავებულ ხალხის დაჩაგვრა. ეს მოწოდება სალდათებში გაავრცელეს და ქუჩებშიაც გააკრეს (რ.).

◆ შემოდგომის დიდი აღლუმები, რომელიც ყოველ წელს იმართება ხოლმე მთელ რუსეთში, წრეულს აღარ მოხდება. მიზეზი—რუსეთის შინაური სახიფათო მდგომარეობაა (ს. ო.)

◆ თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა მთელ თურქესტანში **გაძლიერებულ დაცვის წესები** შემოიღო 1906 წ. 16 ივლისამდე (რ. ვ.).

◆ ამ რამდენიმე თვის წინად გაზეთებში სწერდნენ, ვითომ იალუს გმირი, სტატს-სეკრეტარი ბეზობრაზოვი საზღვარ-გარედ წასულიყვეს. ახლა აღმოჩნდა, რომ **ბეზობრაზოვს რუსეთიდან ფეხი არ გაუდგამს,** სულ პეტერბურგში ცხოვრობდა და თავის „საქმეებს“ უნდებოდა. ბეზობრაზოვი არც ახლა ზის გულხელდაკრეფილი და დიდ საქმეებშია გართული: უშველებელ და ძვირფას სახლებს აშენებს და სხვადასხვა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებს ხელმძღვანელობს. გაზეთებში ისიც ეწერა, ვითომ მთავრობამ ბეზობრაზოვს იალუს საქმეების ანგარიში მოსთხოვაო. ესეც ტყუილი გამოდგა: ბეზობრაზოვისთვის არავის არ მოუთხოვია ანგარიში (რ. ვ.).

◆ სევასტოპოლის სამხედრო საპყრობილიდან გაქცეული **სტუდენტი ფელდმანი** წევრი იყო იმ კომიტეტისა, რომელიც „პოტიომკინ“-ის აჯანყებულ მეზღვაურებს ხელმძღვანელობდა. როცა ეს გემი თეოდოსიაში მივიდა, ფელდმანი და რამდენიმე მისი ამხანაგი გადავიდნენ სურსათის საშოვნელად. ნაპირზე სალდათებმა თოფები დაუშინეს და ფელდმანი დასჭრეს. დაჭრილი ფელდმანი ზღვაში ჩავარდა და კინაღამ დაირჩო, მაგრამ სალდათებმა ამოიყვანეს და საავადმყოფოში გაგზავნეს. საავადმყოფოდან ფელდმანი სევასტოპოლის ციხეში გაგზავნეს (რ. ვ.).

◆ პრივისლის რკინის გზებზე, გაფიცვის დროს, **შემდეგი ამბები მოხდა:** 9 აგვისტოს, სადგურ რადომზე მემანქანეს თოფი ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. ამავე დღეს აღმოაჩინეს, რომ რადომსა და როჟკის შუა მდებარე ხიდის ქვეშ გაფიცულებს ხვრელი გაეკეთებინათ და ხიდის აფეთქება უნდოდათ. მეორე დღეს უცნობებმა ააფეთქეს მეორე დიდი ხიდი, რომელიც სადგურ ედელნიპსა და ზაგორენს შუა ძევს. არავინ დაშავებულა. მიმოსვლა შესწყდა. ლიუბლინში რკის გზის სახელოსნოებში მუშაობა არ იყო. რადომში სახელოსნოები, მაღაზიები, ქარხნები და ფაბრიკები დაკეტილია. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც კურლიანდიის გუბერნიაში ომის წესები შემოიღეს, მიტავაში ვიღაცეებმა იარაღის მაღაზია გასტეხეს და, რაც იარაღი იყო—წაიღეს (რ. ვ.).

◆ ვარშავაში, **საომარ დროის წესების შემოღების შემდეგ,** ცხოვრება სულ მიწყნარდა: არც ბანკები მუშაობენ, არც თეატრები და არც სხვა დაწესებულებები. გენერალ-გუბერნატორმა მრავალი საერო მოღვაწე გააძევა ვარშავიდან, მათ შორის რამდენიმე ჟურნალისტიც (რ.).

◆ 14 აგვისტოს ტულაში ბოქაულის თანაშემწე დიაკოვი **დასჭრეს** (ნ. დ.).

◆ მოსკოვს პოლიციის შენახვა 1904 წელს 887,260 მანათი დაუჯდა. გარდა ამისა, ქალაქი მოვალეა პოლიციელებს სადგომები უშოვოს. სადგომებზე დახარჯულია 100,000 მანათზე მეტი, ასე რომ ერთ წელიწადს მოსკოვს „წესიერების“ დაცვა 1 მილიონ მანათამდე დაუჯდა. (რ. ს.).

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა „პეტერბურგსკაია გაზეტა“, რომელიც ლატიშურ ენაზე გამოდიოდა პეტერბურგში (ს.).

სასამართლო

საქმე ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლის შესახებ.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

18 აგვისტოს, ნაშუადღევს პირველ საათიდან, ბაქოს ქალაქის გამგობის დარბაზში საქმის განხილვა დაიწყო ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის შესახებ. ბრალდებულია ხუთი სომეხი.

მოსამართლეთა რიცხვში ჯარის სხვადასხვა ნაწილთა ობერ-აფიცრებიც ურევია. ბრალსა სდებს სამხედრო ბრალმდებლის თანაშემწე პოლპოლკ. მოსკოვენკოვი. დამცველები არიან ნაფიცი ვექილები ზარუდნი (პეტერბურგიდან), ბაიკოვი, ტერ-მიქელიანცი, ვრჟოსეკი და ტიგრანიანი (ბაქოელები). დამცველები ერთმანეთის თანახმანი არიან და ყველა ბრალდებულთ ერთად იცავენ. სასამართლოში გამოწვეულია ბრალმდებლისაგან 10 მოწმე, ვექილთაგან—76. ბრალმდებლის ერთის მოწმესათვის—სტრელკოვისათვის—უწყება ვერ ჩაუბარებიათ და სასამართლოში არ გამოცხადებულა. მოწმები კი: ქერბალაი-მამედ ალი მაშადი-ამხა-ოღლი, ალალი-მიქაილ-ოღლი და ყურბან-ალლახ-ვერდი-ოღლი, თუმცა მოვიდნენ სასამართლოში, მაგრამ უწყების დაბრუნების შემდეგ, სადღაც მიიმალნენ. მათ საპოვნელად ზომები მიიღეს. ვექილთა მოწმებიდან არ გამოცხადდა ექვსი კაცი.

თავმჯდომარე შეეკითხა მსაჯულებს: შევუდგეთ თუ არა საქმის გარჩევასაო.

ბრალმდებელი თხოულობს: რადგანაც ჩემი მოწმები სავსებით არ გამოცხადდნენ და მათ ჩვენებას კი ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, საქმე გადავსდოთო.

ვექილი ზარუდნი. ბრალმდებელმა თვითვე აღიარა, რომ მოწმე სტრელკოვის მოუსვლელობა კანონიერის მიზეზებით აიხსნებაო, ქერბალაისა, ალალისა და ყურბანის აქ არ დასწრება, მათ მოუსვლელობად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ისინი უკვე გამოცხადნენ. ხოლო თუ მერე მიიმალნენ, ბაქოს იქით არსად წავიდოდნენ. სამხედრო გამომძიებლის დუბროვსკის მოუსვლელობაზე კი ვერას ვიტყვი, ვიდრე ბ-ნი ბრალმდებელი არ აგვიხსნის, რაში სჭირია მას ამ მოწმის ჩვენება. სასამართლოს სხდომები შეიძლება გადაიდოს მოკლე ვადით, ვიდრე დამალულ მოწმეებს მოსძებნიდნენ. ეჭვი არ არის, ეს მოწმენი იმიტომ იმალებიან, რომ საქმე გააჭიანურონ, ბრალდებულნი ციხეში დიდხან ჯდომით დასტანჯონ. სხდომების სავსებით გადადება შეუძლებელია, რადგანაც სამხედრო სასამართლოს სესსიები ხშირი არ არის ხოლმე.

თავმჯდომარე (ბრალმდებელს) დამცველებს ჰსურთ გაიგონ, რისთვის გინდათ: მოწმეთა სამხედრო გამომძიებელის დუბროვსკისა და ჟანდარმთა როტმისტრის მოლჩანოვის ჩვენებანი.

ბრალმდებელი. სასამართლომ შეიწყნარა, რომ ეკითხოს იმ მოწმესაც. ხოლო მე სრულებითაც მოვალე არა ვარ მოვახსენო დამცველებს, რათაცა მჭირია მათი ჩვენება. ეს ჩემი კანონიერი უფლებაა.

ვექილი ზარუდნი. გთხოვთ ოქმში აღნიშნოთ, რომ ბრალმდებელი უარს აცხადებს აგვიხსნას, რისთვისაც სჭირია მას დასახელებულ მოწმების ჩვენება. ხოლო თუ ვინიცობაა მათის ჩვენებით საქმის ახალი გარემოება გამოირკვა, მაშინ ნება მოგვეცეს მათი ჩვენება ჩვენ ურვყოთ იმ გზით, რა გზითაც ჩვენ მოგვინდება, თუნდაც ახალის მოწმების გამოწვევითაც. გარდა ამისა ერთი გარემოებაც უნდა მოგახსენოთ: 8 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სამხედრო ჰაუპტვახტში, „სადაც ამჟამად სხედან ბრალდებულნი აგასანიანცი და არუთინოვი, მისულან ბრალმდებლის ორი მოწმეთაგანი და ტუსაღებისათვის განუცხადებიათ: „თუნდა სასამართლომაც გაგამართლოთ, ჩვენ მაინც დაგხოცავთო“. ამის მოწმები არიან ბარაბანშჩიკი და მოდარაჯე ჯარის კაცი.

ბრალმდებელი. ეგ ამბავი კიდევაც რომ გამართლდეს, საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ვექილი ზარუდნი. პირიქით, თუ ეს ამბავი გამართლდა სასამართლომ ეჭვის თვალით უნდა შეხედოს და არ ენდოს ამ მოწმეთა ჩვენებასა.

მსაჯულები მეორე ოთახში სათათბიროდ გავიდნენ და ნახევარ საათის შემდეგ გამოაცხადეს: მოწმე სტრელკოვის მოუსვლელობა კანონიერად ჩაითვალოს, დამალული მოწმენი ქერბალაი, ალალი და ყურბანი დაჯარიმებულ იქმნან ას-ასი მანათით თითო, დუბროვსკის მოუსვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვევლად ჩაითვალოს, დამცველთა შუამდგომლობა ახლად გამოჩენილ საქმის გარემოებათა შესახებ უყურადღებოდ იქმნას დატოვებული, ნება მიეცეთ დამცველებს ახალის მოწმების გამოკითხვით შეავსონ საქმის ვითარება, თუ ვინიცობაა ბრალმდებლის მოწმეებმა დუბროვსკიმა და როტმისტრმა მოლჩანოვმა საქმის ახალ ვითარებაზე მიუთითეს, საქმის გარჩევა გადაიდოს 19 აგვისტოს 9 საათისათვის და ის მოწმები, რომლებიც განგებ არ მოდიან, მთავრობას ძალით მოაყვანინონ.

19 აგვისტოს სხდომა დაიწყო დილის $9^1/_2$ საათზე, **თავჯდომარემ** განაცხადა, რომ დუბროვსკისაგან დეპეშა მივიღეთ, და იწერება უწყება მხოლოდ 17 აგვისტოს ჩამაბარესო და ამიტომ თავისს დროზე ვერ გამოვცხადდიო. თავჯდომარემ მოახსენა მსაჯულებს—ბაქოს პოლიცია იუწყება: მოწმეები ქერბალაი და ყურბანი ბაქოდან სადღაც წასულან, ხოლო ალალი კი დავიჭირეთ და ყარაულ ქვეშ სასამართლოს ვუდგენთო. შევუდგეთ თუ არა საქმის გარჩევასაო?—დაამბოლავა თავჯდომარემ. ბრალმდებელი თხოულობს საქმის გარჩევა უეჭველად გადაიდოს, რადგანაც აქ არდამსწრე მოწმების ჩვენების მარტო წაკითხვა საკმარისი არ არის, სასამართლომ თვით მოწმეებთაგან უნდა მოისმინოს ჩვენება, უნდა დარწმუნდეს, რამდენად გულწრფელნი და საქმის კარგად მცოდნენი არიან ეს მოწმენი. გარდა ამისა სტრელკოვის ჩვენების შესახებ გამომძიებელი დუბროვსკი იუწყება ეს ჩვენება შეცდომითა მაქვს ოქმში ჩაწერილიო, ვინაიდან სტრელკოვმა განაცხადა რა, რომ მეირამოვი გამომიტყდაო მკვლელობის ჩადენაში, დაასძინა, რომ ყუმბარა მეირამოვს არ გადაუგდია, იგი ყუმბარის გადამგდებ ზიალიანცს ეშველებოდაო.

ვექილი ზარუდნი. თავის ინტერესებისათვის ბრალმდებელმა დამცველთა ინტერესები არ უნდა დასჩაგროსო. აგერ სამ თვეზე მეტია, რაც ბრალდებულნი ციხეში სხედან, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იგინი დამნაშავენი არ არიან. ბრალმდებლის აზრით ქერბალაისა და ყურბანის მოუსვლელობა კანონიერია, რადგანაც იგინი პოლიციამ ვერ აღმოაჩინაო! ვინ არის თავმდები, რომ მეორე სესსიისათვის კი იპოვნიანთ მათ? რაც შეეხება მოწმის დუბროვსკის გამოწვევას, მე არ შემიძლია დავეთანხმო ასეთ უკანონო მოთხოვნას. ხოლო ისეთი განცხადება კი, რომელიც ოფიციალურ სხდომას მოხსენდა და მოხსენდა ბრალმდებელისაგან, მე პირველად მესმის, საქმის ვითარების გამოკვლევის დროს გამომძიებელის შეცდომა მოსვლიაო. ბრალმდებელს ჰსურს ოქმში შესწორებულ იქმნას არსებითი შეცდომანი გამომძიებელსა. ასეთი შესწორება გამოიწვევს არა თუ იმ ბრალდებულის შესახებ ბრალდებათა გადასხმა-გადმოსხმას და ეს კი თქვენ წინაშე დააფოლებს ამ ბრალდებათ. ჩვენ გეხვეწებით საქმის გარჩევა არ გადადოთ. სასამართლოს საკმაო საბუთები აქვს, რომ ამ საქმეს ნათელი მოჰფინოს.

ვექილი ბაიკოვი. ვეთანხმები რა ჩემის ამხანაგის ნათქვამს, ჩემის მხრით უნდა დავძინო, რომ ანციფეროვისა, კლოჩკოვისა და სხვათა საქმისა გამო სენატმა განმარტა, რომ თუ სასამართლოს სხდომა ერთხელ გადაიდო არ-გამოცხადებულ მოწმეთა მოსაძებნად და ამ დროის განმავლობაში მოწმები ვერ იპოვნეს, საჭირო აღარ არის სხდომების გადადებაო. ეს განმარტება სავსებით შეეხება ამ საქმესაც და სასამართლოს შეუძლიან განაგრძოს საქმის გარჩევა. რაც შეეხება ბრალმდებელის განცხადებას, რომ საქმის გარჩევა უნდა გადაიდოს იმიტომ, რომ სამხედრო გამომძიებელი დუბროვსკი არ გამოცხადდაო, ასეთი მისი შუამდგომლობა კანონის სრული წინააღმდეგობაა. რა სურს ბ-ნ ბრალმდებელს? იქნება უნდა გაამტყუნოს ბ-ნი დუბროვსკი სამსახურის აღსრულების დროს სიყალბის ჩადენაში, ვინაიდან მოწმე სტრელკოვის ჩვენება შეცდომით დაუწერია, თუ უნდა უსაყვედუროს დაუდევრობა. ორთავე შემთხვევაში ბ-ნ დუბროვსკის უნდა შევეკითხოთ, სამხედრო კანონის ძალით კი შეკითხვა იმ მოწმის, რომელმაც ესა თუ ის დანაშაული ჩაიდინა, აღკრძალულია და თუნდაც თავი გაიმართლოს, ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სასამართლოსათვის და ამიტომ ვშუამდგომლობ, რომ საქმის გარჩევა არ გადაიდოს.

ვექილი ვრჟოსეკიც ეთანხმება თავისს ამხანაგებს და თხოულობს საქმის გარჩევას. ამის შემდეგ მსაჯულებმა ითათბირეს და ნახევარ საათის შემდეგ გამოაცხადეს: მოწმეთა ქერბალაისა და ყურბანის გამოუცხადებლობა ამ ჟამად კანონიერად ჩაითვალოს, რადგანაც ისინი პოლიციამ ვერ იპოვნა და უწყებები ვერ ჩააბარა. კანონიერადვე ჩაითვალოს პოდპ. დუბროვსკის მოუსვლელობაც, მაგრამ, რადგანაც ამ მოწმეების პირადი ჩვენება ფრიად საჭიროა სასამართლოსათვის, საქმის გარჩევა გადაიდოს და დაინიშნოს გასარჩევად არა უგვიანესს ერთის თვისა, სექტემბერში, ამ დროისთვის უთუოდ დაბარებულ იქმნენ ქერბალაი, ყურბანი და სამხ. გამომძიებელი დუბროვსკი, ალალი-კი ამ დრომდე დაპატიმრებულ იქმნას ციხეში.

ვექილი ზარუდნი. ბატონნო მსაჯულნო! მე ვსთხოვ სასამართლომ თავდების ქვეშ განთავისუფლოს ბრალდებულნი, რომელნიც აგერ სამი თვეა იტანჯებიან. მათ რიცხვში 15 წლის ბავშვიც რომ არ ერიოს, თვით საბრალმდებლო ოქმი ისეთ სუსტ მასალაზეა აგებული, რომ ასეთი წინასწარი მოპყრობა დამნაშავეთადმი მეტის მეტი სისასტიკეა, მით უმეტეს, რომ ბრალდებულნი გენდობიან თქვენ და არა-ოდეს თქვენ მსჯავრს არ გაექცევიანო“. ამავე თხოულობს ვექილი ვრჟოსეკი და დასძენს, დროებით განთავისუფლებულთა თავდები ჩვენ ვიქნებითო.

ბრალმდებელი. „დამნაშავეთ უმაღლესი სასჯელი მოელით და ამიტომ მე ვშუამდგომლობ, რომ დამნაშავენი ისევ ციხეში დარჩნენ.

ვექილი ბაიკოვი. ბ-ნ ბრალმდებელის სიტყვები „გადამახინჯებაა“ კანონისა. მართალია, კანონში პირდაპირაა ნათქვამი, რომ უმაღლესის სასჯელის მომლოდინე დამნაშავეთ, საქმის გარჩევამდე სასტიკად უნდა მოეპყრანო, მაგრამ ბ-ნ ბრალმდებელს ავიწყდება რომ სამხედრო კანონის 47 მუხლი და სამოქალაქო სისხლის სამართლის დებულების 421 მუხლი თხოულობს, რომ ამ ზომების მიღების დროს უნდა იხელმძღვანელონ სხვა გარემოებითაც, რომლებიც ნამდვილად ამტყუნებენ მათ. რაც სასამართლომ ამ ორ დღეში საქმის გარჩევიდან დაინახა, საკმარისია დაარწმუნოს სასამართლო, რომ საბრალმდებლო მასალა ფუჭია. წინასწარი დატუსაღება დამნაშავეთა მხოლოდ ზომაა, რომ დამნაშავენი სამართალს არ გაექცნენ. დაპატიმრება დამატებითი სასჯელი არ არის. წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლომ გაამართლა პასუხისგებაში მიცემულნი, ამ შემთხვევაში წინასწარი დაპატიმრება არის „არა ადამიანური მოპყრობა“. სასამართლოს შეუძლიან მოითხოვოს დიდძალი სათავმდებო ფული და წინასწარ დაპატიმრებისაგან ბრალდებულნი განთავისუფლოს.

თავმჯდომარე გენ. მ. რულიცკი. სიტყვის „არა ადაადამიანურის მოპყრობისა“ გამო, თქვენ, ბ-ნო ვექილო შენიშვნას გაძლევთ. სასამართლო „არა-ადამიანურად“ არ იქცევა და გთხოვთ ეს ყოველთვის გახსოვდეთ.. ამის შემდეგ სასამართლო შეუდგება დამნაშავეთა დროებით განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვას.

მცირე თათბირის შემდეგ თავჯდომარემ გამოაცხადა: რადგანაც საქმის გარჩევა ამ მოკლე ხანში მოხდება და რადგანაც დამნაშავეთ საბრალმდებლო ოქმის ძალით სიკვდილით დასჯა მოელით, ამიტომ სასამართლომ დაადგინა—დამნაშავენი ისევ ციხეში დარჩნენ. მოწმე ალალი დაპატიმრებულ იქმნას და ეთხოვოს მთავრობას რომ, მოწმები ქერბალაი და ყურბანი შეიპყროს და საქმის გარჩევის დროს სასამართლოს წარუდგინოს.

ამის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 აგვისტო.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. იაპონიიდან ცნობების მოუსვლელობა კომენტარიებს იწვევს. იაპონია მაინც სიტყვას არ გადავა, თუნდაც იმპერატორმა შეიგნოს, რომ დათმობაში მეტად შორს წავიდაო. „ნიუ-იორკ-ტაიმსი“ იუწყება: იაპონიის რწმუნებულთ მხოლოდ ის მანდობილობა ჰქონდათ, რომ კონტრიბუციის საფასურში სახალინი მიეღოთ და არა ამ კუნძულის ნახევარიო. ამბობენ ამ გარემოებამ შეიძლება საქმე გაამწვავოს და ხელ-შეკრულობის მოწერა გადადოსო. რუზველტმა მიკადოსაგან სამადლობელო დეპეშა მიიღო.

პორტსმუტი. ტაკახირას აზრით, დღეს ან ხვალ დილით ერთი სხდომა კიდევ მოხდება. იმედი აქვს რომ ხელშეკრულებას ხელს ნაშუადღევს მოაწერენ. იაპონიის რწმუნებულთა სიტყვით, ვიტტე და კომურა ხელშეკრულობის ორ-ორ ცალს წაიღებენ. მიკადოსკენ ხელ-მოწერილ ცალს პეტერბურგში საგანგებო ელჩი წაიღებს, რასაც რუზველტს შეატყობინებენ, მეორე ცალს პეტერბურგიდანაც საგანგებო ელჩი წაიღებს ტოკიოში, რასაც დუბეს შეატყობინებენ, რომ იაპონიის მთავრობას აცნობოს. ჩიკაგოს უნივერსიტეტმა ვიტტეს საპატიო დიპლომი უძღვნა.

პეტერბურგი, 22 აგვისტო. დანამდვილებით შეგვიძლიან გაუწყოთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დაარსებისა გამო, ახლო მომავალში შესდგება სახელმწიფო უმაღლეს მოხელეთა განსაკუთრებული რჩევა, სახელმწიფო საბჭოს ახალ დებულებისა და განზრახულ მინისტრთა კაბინეტის წესდების შესამუშავებლად.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. მარტენსმა და დენისონმა ღამის 12 საათზე დაასრულეს საზავო ხელშეკრულების შემუშავება. ახლა ხელშეკრულება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ორის კალიგრაფის მიერ იწერება პერგამენტზე. ხელშეკრულობის ტექსტი პეტერბურგს და ტოკიოს დეპეშით აცნობეს, მაგრამ რწმუნებულნი მთავრობათა ოფიციალურ სანქციას არ მოუცდიან. უთანხმოება სახალინის გამო მშვიდობიანად მოეწყო. ხელშეკრულობის ძალით ვერც რუსები და ვერც იაპონელები სახალინს სამხედრო მიზნით ვერ მოიხმარებენ.

იაპონელთა რწმუნებულნი სწუხან, რომ ტოკიოდან ინსტრუქცია დაუგვიანეს; ხმა დადის, რომ ვიდრე მიკადოს განსაკუთრებული ინსტრუქცია არ მოუვა, ხელშეკრულებას ხელს ვერ მოაწერენო, რუსების რწმუნებულთ კი სრული უფლება აქვთ ამისა. ტაკახირას აზრით ხელშეკრულობას 22 აგვისტოს, ნაშუადღევს მოაწერენ, ხოლო დილით შეიკრიბებიან ხელშეკრულების უკანასკნელ შესამოწმებლად.

რომი, 22 აგვისტო. გაზეთ „ტრიბუნას“ მიერ ტიანცინიდან მიღებულ დეპეშის სიტყვით, იაპონიაში რევოლუციამ იფეთქა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. (11 6 7 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა, ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა“-სი ამით აცხადებს, რომ, რადგან 31 ივლისს არ შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება, მეორე კრება დანიშნულია კვირას, 21 აგვისტოს, საღამოს $6^1/_2$ საათზე ქ. ქუთაისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში, განსახილველად წლიურის ანგარიშებისა და საზოგადოების სკოლის საჭიროების შესახებ სხვადასხვა კითხვების გადასაწყვეტად. ვსთხოვთ როგორც წევრთ, აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს საზოგადოების ერთი წლის მოქმედების გაგება, დაესწრონ აღნიშნულ კრებას. (5—5)

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ԲԱՑՈՒԱԾ Է ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳՐՈՒԹԻՒՆ
„ԱՐՇԱԼՈՅՍ“
գրական, հասարակական, քաղաքական, տնտեսագիտական պատկերազարդ օրաթերթի,
որ լոյս է տեսնելու օգոստոս ամսի վերջերից՝ ռուսաց «Русскія Вѣдомости» օրաթերթի ձեւով (տարեկան բաժանորդագինը 7 ռ.)։

«Արշալոյսի» նպատակն է լինելու ընթերցանութեան թարմ և օգտակար նիւթ մատակարարել հայ ընթերցողներին՝ արծարծելով առաջադիմական լուսաւոր գաղափարներ, բացատրելով ընթացիկ կեանքի երեւոյթները, հասարակական պէս-պէս հոսանքներն ու հրատապ հարցերը և այդ բոլորի միջոցով նպաստել հայ ազգի զարգացմանն ու քաղաքակրթութեանը։ Աշխատակցելու հրաւիրուած են յայտնի հեղինակներ ու մասնագէտներ։ Բացի դրանից խմբագրութիւնը լայն ասպարէզ է բանալու հայ երիտասարդութեան առաջ, առանձնապէս աշխատելով տեղ տալ թարմ ու օգտակար ույժերին և գործադրելով գրական աշխատանքի վարձատրութեան սկզբունքը։

«Արշալոյսն» ունենալու է հետեւեալ բաժինները.

1. ԿԱՌԱՎԱՐՉԱԿԱՆ ԿԱՐԳԱԴՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ. 2. ԱՌԱՋՆՈՐԴՈՂՆԵՐ. 3. ՀԵՌԱԳԻՐՆԵՐ—(Գործակալութեան և սեպհական). 4. I. ՆԵՐՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ներքին լուրեր և բ. Փոքրիկ յօդուածներ ընթացիկ հարցերի մասին։ II. ԱՐՏԱՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Յօդուածներ արտասահմանեան խոշոր դէպքերի մասին. բ. Թղթակցութիւններ արտասահմանից. գ. Բազմազան լուրեր. դ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԻ ՇՈՒՐՋԸ.—Տեղեկութիւններ արտասահմանեան հայկական կեանքից. քաղուածքներ արտասահմանեան հայ թերթերից, հարկաւոր դէպքերում խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով։ III. ԿՈՎԿԱՍԵԱՆ ՔՐՈՆԻԿՈՆ.—ա. Յօդուածներ զուտ գաւառական կեանքի տնտեսական, կրթական և այլ ընթացիկ կարիքների մասին. Թղթակցութիւններ և լուրեր. բ. ԹԱՏՐՈՆ ԵՒ ԵՐԱԺՇՏՈՒԹԻՒՆ.—Ամփոփ տեսութիւններ թէ տեղական (հայ և օտար) և թէ գաւառական ներկայացումների, համերգների ու հանդէսների մասին։ 5. ՏԵՂԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԸ.—Լուրեր, տեղեկութիւններ ու յօդուածներ Թիֆլիզի կեանքից։ 6. ԸՆԿԵՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ ԵՒ ՀԻՄՆԱՐԿՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—ա. Հաշիւներ ու տեղեկութիւններ գիտական, դաստիարակչական, առեւտրական-արդիւնաբերական և հասարակական հիմնարկութիւնների մասին. բ. ԳԻՏԱԿԱՆ ՆՈՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—Ինքնուրոյն տեղեկութիւններ և թարգմանական քաղուածքներ օտար մամուլից։ 7. ՄԱՄՈՒԼԻ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՔՆՆԴԱՏՈՒԹԻՒՆ.—ա. Քաղուածքներ հայ և օտար մամուլից խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով. բ. Քննադատական յօդուածներ. 8. ԹՂԹԱԿՑՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 9. ՄԱՏԵՆԱԽՕՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Բոլոր հայերէն լեզուով լոյս տեսած գրքերի մասին. բ. Ամփոփ տեղեկութիւններ օտար լեզուներով լոյս տեսած գրքերի մասին, մանաւանդ հայերին, նրանց դրացիներին և մերձաւոր արեւելքին վերաբերեալ. գ. Խմբագրատանն ստացուած գրքերի ցուցակը։ 10—11 ԲԱՆԱՍԻՐԱԿԱՆ.—ա. Ինքնուրոյն և թարգմանական վէպեր, մանրավէպեր, բանաստեղծութիւններ ու պատկերներ. բ. Սօցիալական-տնտեսագիտական ամփոփ յօդուածներ ու տեսութիւններ. գ. Գրական և գիտական տեսութիւններ. դ. Բժշկական և առողջապահական յօդուածներ. ե. Երգիծաբանական գրուածքներ։ ԱՐԴԻՒՆԱԳՈՐԾՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՎԱՃԱՌԱԿԱՆՈՒԹԻՒՆ.—Տեսութիւններ և տեղեկութիւններ արդիւնագործութեան և վաճառականութեան մասին։ Աշխատաւոր դասակարգի կեանքն ու կարիքները։ 12. ՏԵՂԵԿԱՏՈՒ.—ա. Մուրհակներ և բորսա. բ. Օրացոյց. գ. Այսօր (տեղեկութիւններ ժողովների, հանդէսների և ներկայացումների մասին). դ. Ճանապարհորդութիւն (տեղեկ. երկաթուղիների և նաւերի մասին)։ ԽՈՐՀՐԴԱՏՈՒ.—Խորհուրդներ և պատասխաններ ընթերցողների առաջարկած իրաւաբանական, բժշկական հարցերին։ ՆԱՄԱԿՆԵՐ ԽՄԲԱԳՐՈՒԹԵԱՆ. ՓՈՍՏԱՐԿՂ. 13. ՅԱՅՏԱՐԱՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 14. ՊԱՏԿԵՐՆԵՐ։

Յօդուածներ կարելի է ուղարկել այժմեանից։

Բաժանորդագրութեան պայմանները.

Թիֆլիզի եւ Ռուսաստանի համար՝	Արտասահմանի համար՝
4 ամիսը (սեպ.—յուն.) 2 ռ. 50 կոպ.	4 ամիսը 4 ռ.=9 մարկ
3 » 2 »	=11 ֆրանկ=9 շիլլինգ
2 » 1 » 50 »	=2 դոլլար։
1 » » » 75 »	

Խմբագիր-Հրատարակիչ՝ Դ. Մելիք-Կարագեօզեան

Առաջիկայ սեպտեմբեր ամսից Դ. Մելիք-Կարագեօզեանի հրատարակութեամբ սկսելու է լոյս տեսնել նաև «Кавказскій Вѣстникъ» ռուսերէն ամսագիրը, որի նպատակն է լինելու՝ նպաստել Կովկասի զանազան ազգութիւնների փոխադարձ մերձեցմանը, նրանց համախմբել ընդհանուր քաղաքակրթական շահերի շուրջը և միևնոյն ժամանակ ռուս հասարակութեան առաջ պատկերացնել Կովկասի ընթացիկ կեանքն ու կարիքները։
Այդ նպատակով արդէն որոշ համաձայնութիւն է կայացել վրաց առաջադիմական «Ցնոբիս Փուրցելի» լրագրի խմբագրութեան հետ։
«Кавк. Вѣст.»-ի բաժանորդագինն է 4 ամիսը (սեպ.—յունուար) 3 ռուբ.
«Արշալոյս» և «Кавк. Вѣст.» միասին ստացողները պէտք է վճարեն Ռուսաստանում 4 ամիսը—3 ռ. 75 կոպ.։ Արտասահմանում 6 ռ. Բաժանորդ գրուել կարելի է խմբագրատանը (Թիֆլիզ, Գանովսկայա փող. № 11). օտար քաղաքներից պէտք է դիմել. Тифлисъ, Редакція газеты «Аршалуйсъ» կամ Tiflis, Rédaction du Journal «Arschalouis».
«Արշալոյսի» գործակալներն են.
Ալէքսանդրապոլում—Ա. Խզմալեան, Երեւանում—«Արարատ» գրավաճառանոցը, [illegible]—Հ. Տէր-Խաչատրեան, [illegible]—Խ. բ. Խանդոզեան և Վ. Արարոչեան, [illegible]—Գ. Ղազարեան, Բաքւում—Յ. Փիլոյեան, Բաթումում—«Сотрудникъ» գրավաճառանոցը, [illegible]—Ա. Յակոբեան, Մոսկվայում—Յ. բ. Խաչմանեան։ [illegible]—Ս. բ. Տէր-Յովհաննիսեան. Հայաբնակ միւս կենտրոններում էլ շուտով կը հաստատուեն յատուկ գործակալութիւններ։

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5